ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 7 – 8 მარტი, 2020 №56 (8320) ფასი: 60 თეთრი

## ზურაბ ბუდაღაშვილი, კახაბერ კუპარაძე და ლუკა ... ?

ზურაბ ბუდაღაშვილი, კახაბერ კუპარეიშვილი და ცოტნე სოსელია გამოუშვეს



გვ.5



გვ.5

## სროლა ნაფარეულის ქუჩაზე

3 მარტიდან
ვასილ ბარნოვი
ტრფობა ნამებული
საქართველოს ისტორია ქართულ ლიტერატურაში
ტომი I
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# „ივანიშვილი გახარიას ამ არჩევნებს არ ჩაატარებინებს“



გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნება“ მდინარაძემ და კობახიძემ დაღუპეს, ისინი ახალ პარლამენტში არ იქნებიან“







## „თუ „ოცნება“ კომპრომისზე არ წავა, შესაძლოა აშშ-მა ივანიშვილის ანგარიშები დააყადაღოს“

ნიკა ჩიტაძე: „110/40-ზე პრაგმატულად ოპოზიციისთვისაც უკეთესია და ხელისუფლებასაც აწყობს, რათა დასავლეთთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს“



გვ.4

## „თუ თბილისს მაჟორიტარებს წაართმევენ, ამას მხარს არ დავუჭერ“



გვ.3

გედი ფოფხაძე: „ოცნებისგან“ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ“

## „რაც ბუჯანიას შეემთხვევა, ყველაფერი რუსეთის ხელით იქნება გაკეთებული“

მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთისთვის მხოლოდ სამხედრო ბაზაა“



გვ.4



გვ.5

## ნინო ცაციაშვილი: „საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს ის პასუხისმგებლობა, რაც გვაკისრია ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით“

მოძალადეზე ზედამხედველობა ელექტრონულად განხორციელდება



გვ.2

## დეპუტატები პარლამენტში აღარ ივლიან „კენჭისყრა და განხილვა ელექტრონულად ჩავატაროთ“

ISSN 1987-9385

2 კახა კალაძე საარჩევნო სისტემის 120/30-ზე მოდელის მომხრეა

2 აჭარის ტელევიზიის წამყვანი თეონა ბაკურიძე ეთერიდან მოხსნეს

5 კორონავირუსის გამო ციხეებში პაემნები დროებით შეიზღუდა

6 ფრანგი დეპუტატი კორონავირუსით დაავადდა

# დეპუტატები პარლამენტში აღარ ივლიან „კენჭისყრა და განხილვა ელექტრონულად ჩავატაროთ“



პარლამენტმა შესაძლოა, კანონპროექტები ელექტრონულად განიხილოს და ელექტრონული კენჭისყრით დაამტკიცოს.

ამ ინიციატივის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ 6 მარტს ბიუროს სხდომაზე ისაუბრა.

თალაკვაძემ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტებს, ასევე იურიდიულ დეპარტამენტს დაავალა, იმსჯელოს ინიციატივის გარშემო როგორც ტექნიკურ, ასევე სამართლებრივ გარემოებებზე.

– ერთი წლის წინ, როდესაც პარლამენტი და ჩვენ ვმუშაობდით ახალ რეგლამენტზე, მაშინ კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე დავაყენე წინადადება, რომ განგვეხილა ახალ რეგლამენტში ელექტრონული პროცედურის განხილვის და კენჭისყრის ელექტრონული შესაძლებლობის შემოტანა.

მინდა ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდე და მოგმართოთ ყველას, რათა ვიფიქროთ და მოვამზადოთ ინიციატივა, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში პარლამენტს მისცემს შესაძლებლობას, კანონპროექტები განიხილოს ელექტრონული პროცედურით და ჩაატაროს ელექტრონული კენჭისყრა გადაწყვეტილების მისაღებად.

ვფიქრობ, ახლაც არის საფუძველი, რის გამოც შეიძლება მომავალში დასჭირდეს ასეთი ინსტრუმენტი და პლატფორმა პარლამენტს და მინდა მივმართო იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტებს, ასევე იურიდიულ დეპარტამენტს, რომ იმსჯელოს ამ ინიციატივის გარშემო ტექნიკურ თუ სამართლებრივ გარემოებებზე.

ეს ინიციატივა დროულად მოვამზადოთ და დაჩქარებული წესითაც განვიხილოთ, თუ საჭიროა, – განაცხადა თალაკვაძემ.

# ამირან გამყრელიძე: „5 ადამიანი, ვისაც კორონავირუსი დაუდგინდა, 44 წლის მამაკაცთან ერთად იყო იტალიაში“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, კორონავირუსით დაინფიცირებული კიდევ 5 ადამიანი იმ 44 წლის მამაკაცის ახლობლები არიან, რომელსაც ინფექცია 5 მარტს დაუდგინდა.

როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, ყველა მათგანი იტალიაში ერთად იმყოფებოდა.



– 44 წლის მამაკაცთან დაკავშირებული ზოგიერთი კონტაქტი შეფასებული იქნა, როგორც შესაძლო შემთხვევა. მათგან აღებული იყო ნიმუშები და გადაგზავნილი შესამოწმებლად. აღებული ნიმუშებიდან 5 აღმოჩნდა დადებითი.

ეს გახლავთ ერთი კლასტერი, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული შემთხვევები, ოჯახური შემთხვევები, ერთი ჯგუფი ადამიანების, ვინც იყო ერთად სამოგზაუროდ იტალიაში და დაბრუნდნენ საქართველოში, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე ინფორმაციით, 5 მარტის საღამოს მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 9 დადასტურებული შემთხვევაა.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, 1 ჯგუფში იყო 8 ადამიანი, 4 და 5 მარტს მათგან 6-ს კორონავირუსის არსებობა უკვე დაუდასტურდა. გამყრელიძის განმარტებით, დანარჩენს 2-ს კვლევა არ ჩატარებია.

– მათზე ჯერ არ გაკეთებულა კვლევა, რადგან არ ჩაითვალა მიზანშეწონილად თავიანთი მონაცემების მიხედვით, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, კორონავირუსით ინფიცირებული 9 პაციენტიდან ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია.

როგორც მან 6 მარტს ჟურნალისტებს განუცხადა, ამჟამად ინფექციურ საავადმყოფოში სულ 30 პაციენტია მოთავსებული, მათ შორის 13 პაციენტის მონაცემი კორონავირუსზე ლუგარის ცენტრშია გადაგზავნილი, რომელთა პასუხები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

– ამ მომენტში ინფექციურ საავადმყოფოში იმყოფება 30 პაციენტი, მათგან 9 არის ახალი კორონავირუსით დაინფიცირებული, ხოლო დანარჩენი არა. დღეს მოვიდა პასუხი 5 ახალ პაციენტზე, მათ კორონავირუსის ინფექცია არ დაუდასტურდათ. სავარაუდოდ, ისინი კარანტინში იქნებიან გადაყვანილი. ამჟამად კიდევ 13 ავადმყოფი წევს, რომელთა პასუხი არ ვიცით. მათი მასალა გადაგზავნილია ლუგარის ცენტრში.

რაც შეეხება ინფიცირებულ პაციენტებს, ერთი მათგანის მდგომარეობა მძიმე, სტაბილურია, მაგრამ მაინც აღინიშნება ტემპერატურის მატება 38,5-დან 39,5-მდე. ის ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, მას გარდა ამისა აქვს ხველა, საერთო სისუსტე და მას ვაკვირდებით. დანარჩენ პაციენტებს ან არ აქვთ რაიმე სიმპტომი, ან მსუბუქი ფორმით. ზოგიერთებს აღენიშნებათ ტემპერატურის მცირე მატება 37-37,5-მდე.

შეგვიძლია შევაფასოთ, რომ 9 პაციენტიდან ერთის გარდა, დანარჩენის მდგომარეობა უსიმპტომო ან მსუბუქი მიმდინარეობისაა, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

# კახა კალაძე საარჩევნო სისტემის 120/30-ზე მოდელის მომხრეა



დედაქალაქის მერი, კახა კალაძე აცხადებს, რომ ის ოპოზიციის მიერ გაჟღერებული 120/30-ზე სისტემის მომხრეა, როგორც მომხრე იყო პროპორციული საარჩევნო სისტემის.

– საარჩევნო სისტემაზე საუბარი უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ჩვენი მხრიდან არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული იმისთვის, რომ მოხდეს გარკვეული შეთანხმება, თუ როგორი საარჩევნო სისტემით ჩატარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს შეხვედრა კიდევ ოპოზიციასთან, დარწმუნებული ვარ, გარკვეული კონსენსუსი შედგება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

მე საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას, 110 იქნება 40-ზე, 120/30-ზე თუ საერთოდ პროპორციული არჩევნები იქნება, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გუნდში იყო ადამიანების რაოდენობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო სისტემის ცვლილებას, შესაბამისად, რა თქმა უნდა, გუნდშიც უნდა მოხდეს შეჯერება და კონსენსუსი, თუ როგორი საარჩევნო სისტემა იქნება.

მე მომხრე ვარ 120/30-ზეც და მომხრე ვიყავი ასევე პროპორციული საარჩევნო სისტემისაც, – განაცხადა კახა კალაძემ.

# იტალიასთან პირდაპირი ფრენები შეჩერდა

6 მარტიდან იტალიასთან პირდაპირი ფრენები შეჩერდა.

– მთავრობის გადაწყვეტილებით უკვე შევზღუდეთ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა იტალიასთან. აღნიშნულის შესახებ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უკვე აცნობა ავიაკომპანიებს, რომლებიც პირდაპირ რეისებს ასრულებდნენ და ასევე, იტალიის საავიაციო ხელისუფლებას.



შესაბამისად, დღეს საღამოს დაგეგმილი „რაინეარის“ რეისი არ შესრულდება. რეისი უნდა ჩამოფრენილიყო 22:20 საათზე საქართველოში და შემდეგ 22:50 საათზე უნდა გაფრენილიყო. ეს რეისი არ შესრულდება. მიმდინარეობს ტექნიკურ დეტალებზე მუშაობა მთავრობასთან, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად. ჩვენი უწყებაც ჩართულია. სხვადასხვა შესაძლებლობები განიხილება იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები დაბრუნდნენ საქართველოში. აღნიშნულის შესახებ მოგვიანებით ეტაპობრივად ეცნობებათ თვითონ იმ მოქალაქეებს და საზოგადოებას.

დილით შესრულდა „ვიზეარის“ რეისი და, შესაბამისად, როგორც კი შევიდა ძალაში გადაწყვეტილება, საღამოს რეისი უკვე არ შესრულდება, – განუცხადეს ინტერპრესნიუსს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

ამის გამო, საქართველოს იმ მოქალაქეების დაბრუნებას, რომლებიც იტალიაში იმყოფებიან და მომდევნო ორი კვირის განმავლობაში შეძენილი ან დაჯავშნილი ჰქონდათ ბილეთები, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს.

ამისათვის საჭიროა, საქართველოს მოქალაქეებმა იტალიაში საქართველოს საელჩოს ელექტრონულ მისამართზე hotline.rome@mfa.gov.ge გააგზავნონ პირადი მონაცემები, პასპორტის, ბილეთების, ან ბილეთების ჯავშნის ასლები.

საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესახებ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უკვე აცნობა ავიაკომპანიებს, რომლებიც ჩარტერულ და რეგულარულ რეისებს ახორციელებენ იტალიის მიმართულებით, აგრეთვე იტალიის საავიაციო ხელისუფლებას.

შეზღუდვა დროებითია და მოქმედებს იტალიის რესპუბლიკაში შექმნილი ეპიდსიტუაციის რისკების შემცირებამდე.

# ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს მონეტები აღმოაჩინეს

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს მონეტები აღმოაჩინეს.

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოს მოქალაქის ხელბარგისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 16 902 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს მონეტები (საერთო წონა 135.76 გრამი) გამოავლინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# გია ვოლსკი: „შაბათ-კვირას ოპოზიციასთან შეხვედრა უნდა შედგეს“




– 10-ჯერ თუ 20-ჯერ გამეორების მიუხედავად, ვერ მივიტანეთ ჟურნალისტებამდე ვერანაირად, რომ ჩვენ, პარტიებს ეს თემა არ უნდა ჰქონდეთ დღის წესრიგში წამოწეული, ვინ არის დათმობისთვის მზად და ვინ არა.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც უპასუხა შეკითხვას, წავა თუ არა მმართველი გუნდი დათმობაზე და შეამცირებს თუ არა მაჟორიტარულ მანდატებს.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რამდენად იძლევა ამის საშუალებას გეოგრაფია.

– ჩვენ უნდა გადავხედოთ სიტუაციას, რის შესაძლებლობას გვაძლევს გეოგრაფია, რომ არ გავხადოთ სამაიმუნოდ და საღრიჯინოდ მაჟორიტარების სისტემა და უნდა დავაზუსტოთ, რამდენი შეიძლება ჰქონდეს პარტიას, რომ ჰქონდეს შესაძლებლობა, მართოს ქვეყანა ან დააკომპლექტოს მთავრობა.

საზოგადოების ინტერესებიდან უნდა გამოხვიდე და არა იმ ინტერესებიდან, რომელიც შენს პარტიას გააჩნია, ამ თემაზე მიდის საუბარი. თუკი, ეს შესაძლებელია რაიმე კონფიგურაციით, 5 დეპუტატია იქით, თუ 5 აქეთ, ეს, რასაკვირველია, მიღწევადია, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვუპირისპირდებით საზოგადოების ინტერესებს, როცა ვლაპარაკობთ პარტიული ორგანიზაციების და მათი ინტერესების მხრიდან. ჩვენ მხარეს ეს არ ახასიათებს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ის ელოდება, რომ ორშაბათამდე შეხვედრა შედგება.

– არ გამოვრიცხავ და პირიქით, ველოდები, რომ შაბათ-კვირას ეს შეხვედრა უნდა შედგეს. პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ ოპონენტებმა. აქამდე ვისაც პასუხისმგებლობა არ გამოუჩენია, ახლა მაინც უნდა დაფიქრდნენ რეალურ შედეგებზე, რის წინაშეც შეიძლება საქართველო დააყენონ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა

6 მარტს საქართველოში მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის-სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ბიძგები თბილისის დროით 17:22 საათზე, ლაგოდეხის აღმოსავლეთით, 1 კილომეტრში, სოფელ რაჭისუბანთან დაფიქსირდა.

მისივე ინფორმაციით, მიწისძვრის სიდიდემ 3.6 მაგნიტუდა შეადგინა.

# აჭარის ტელევიზიის წამყვანი თეონა ბაკურიძე ეთერიდან მოხსნეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანი თეონა ბაკურიძე ეთერიდან მოხსნეს.

დირექტორის გადაწყვეტილება თეონა ბაკურიძეს 6 მარტს საღამოს შეატყობინეს.

დირექტორის ბრძანებაში ეთერიდან მოხსნის მიზეზად საინფორმაციო სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელზე გიორგი აბაზაძე ფსიქოლოგიური ზეწოლა სახელდება და ნათქვამია, რომ ბაკურიძემ აბაზაძეს არ მისცა საქმიანობის განხორციელების უფლება.




მანამდე, დილით, აჭარის ტელევიზიაში ინციდენტი მოხდა. ჟურნალისტები და საინფორმაციო სამსახურის უფროსი ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ, რის შემდეგაც საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი აბაზაძე ცუდად გახდა და ტელევიზიაში სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო.

კოხრეიძის ბრძანებიდან ვკითხულობთ, რომ მთავარი გამოშვების წამყვანი საინფორმაციო სამსახურის უფროსს აიძულებდა, თანამდებობა დაეტოვებინა.

დირექტორის განცხადებით, თეონა ბაკურიძის გადაცემიდან მოხსნის რეკომენდაცია მრჩეველთა საბჭოს სხდომის დროს ლალი ბერძენიშვილისა და ფირუზ ბოლქვაძისგან მიიღო.

ბრძანების თანახმად, თეონა ბაკურიძე ეთერში ორშაბათიდან აღარ გავა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი გახარიას ამ არჩევნებს არ ჩაატარებინებს“

## ლადო სადღობელაშვილი: „ოცნება“ მდინარაძემ და კობახიძემ დაღუპეს, ისინი ახალ პარლამენტში არ იქნებიან“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლადო სადღობელაშვილი** პასუხობს.

***– ლადო, ვხედავთ, როგორი გამალებული ვაჭრობა მიდის პოზიციასა და ოპოზიციას შორის ადგილებთან დაკავშირებით. ხელისუფლება ამბობს, რომ ორ-სამ დღეში ახალ პაკეტს დადებს, ოპოზიციის განცხადებებიც შედარებით რბილი გახდა. რა ხდება?***

– არჩილ თალაკვაძეს ვუსმენდი და ამ ადამიანმა ახსენა ციფრი 5. ხუთი იქით იქნება თუ აქეთ იქნება, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. მე გამიჩნდა ასეთი ეჭვი, რომ 115/35-ზე შეთანხმდებიან.

რასაც ახლა ჩვენ ვუყურებთ, ეს მართლა სასაცილოა. რეალურად რაზე ევაჭრება ოპოზიცია? ოპოზიცია ევაჭრება იმაზე, რომ მაქსიმალურად გააზრდევინოს პროპორციული მანდატების რაოდენობა. დღეს პარლამენტი ერთი დიდი სავაჭრო დახლია! ამ 150 კაციან პარლამენტში დაახლოებით 20 ადამიანია დამსახურებულად მოხვედრილი, რადგან მათი საქმე მართლა კანონების წერა და მსჯელობაა. დანარჩენი 130, ძირითადად ბიზნესმენები არიან, რომლებიც ყიდულობენ ამ თავიანთ ადგილებს.

პარლამენტი ოდითგანვე სავაჭრო ბაზარი იყო და დღეს კიდევ უფრო დიდი დახლი გახდა. სასაცილოა ეს ყველაფერი, რაც დღეს ხდება. მე თუ მკითხავთ, რაც უფრო მეტი მაჟორიტარი იქნება პარლამენტში, ეს გაცილებით უკეთესი იქნება, რადგან მათ უფრო მეტი შეხება ექნებათ ხალხთან. რამდენი პარტიაა დღეს, რომლებსაც 3%-იანი ბარიერის გადალახვის უნარიც კი არ გააჩნიათ.

***– უკვე გაიჟღერა 1%-იანმა ბარიერმაც.***

– კი ბატონო, ისე დაწია „ოცნებამ“ ბარიერი, რომ უკვე 1%-ზეც ვაჭრობენ. იცით, რას მაგონებს ეს ყველაფერი?!

***– რას?***

– 2009 წელი იყო და პარლამენტის წინ იმართებოდა იმდროინდელი ოპოზიციის აქციები და მაშინ სააკაშვილმა განაცხადა, ზოგ ოპოზიციონერს მინისტრად გავუშვებ და ზოგი მინისტრის მოადგილე იქნებაო. მაშინ რამდენიმე მსხვილმა ოპოზიციონერმა ჭამა სააკაშვილის ეს ტრიუკი. სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილმაც ჭამა ეს. მერე კი სააკაშვილმა ესენი დატოვა ხახამშრალი. გააბანძა და დააგდო გაბანძებული. ისე გააბანძა, რომ სალომე ზურაბიშვილს სანამ ბიძინა ივანიშვილი არ გამოუჩნდა მფარველად პოლიტიკურ ასპარეზზე, მანამდე ხმა ვერ ამოიღო. ზუსტად ასე აჭმევს ბიძინა ივანიშვილი ამათაც.

***– რას გაითამაშებს?***

– ივანიშვილმა შეაგდო უკვე ტრიუკი, 1%-ზე დაგსვამთო. ესენიც აყაყანდნენ, რა კარგია 1%-ო, რეალურად ჭამეს ეს შემოთავაზება, რაც გადმოუგდო ივანიშვილმა. ზოგი შეჭამს, ზოგი არა. რა სქემაც არ უნდა იყოს, 110/40-ზე იქნება თუ 115/35-ზე, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ისეთ პირობას დააყენებს, რომელიც მას არ აწყობს?!



***– ლადო, ოპოზიცია მწვავედ და პრინციპულად ითხოვდა პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხს. ხელისუფლება დაყვა ამ მოთხოვნას და დაიწყო 20 ივნისს დაკავებულების საპროცესოთი გამოშვება. თუმცა უშვებს რიგით ადამიანებს, არც ერთი პოლიტიკური ფიგურა არ გამოსულა. რამდენად მისაღები იქნება ეს ოპოზიციისთვის?***

– ამ ადამიანებს აღიარებინეს ძირითადად და ისე გამოუშვეს. ვინც არ აღიარა, ის არ გამოუშვეს. შეიძლება ოქრუაშვილსაც შესთავაზონ აღიარება, მაგრამ უგულავას და რურუას არ გამოუშვებენ, შანსი არ არის! მაგის ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, არჩევნებამდე.

***– რატომ, ასე საშიშები არიან ხელისუფლებისთვის?***

– უგულავაც და რურუაც რეალურად მთაწმინდის და ვერის სიძლიერეს განაპირობებენ, სადაც ძალიან მოიკოჭლებდა ყოველთვის „ქართული ოცნება“. ამიტომ ამათი გამოშვება არ აწყობთ. მით უფრო, რომ რურუასთანაც და უგულავასთანაც დიდი ფულადი რესურსია.

ხელისუფლებამ პატარა ძვალი გადმოუგდო ოპოზიციას, ელჩების დასანახად, რომ აი, ხომ ხედავთ, მე გამოვუშვი 20 ივნისის მოვლენების დროს დაჭერილი ადამიანები, ხოლო უგულავა, ოქრუაშვილი და რურუა დამნაშავეები არიან. ისინი კრიმინალები არიან და ამ 3 კაცს არ გამოვუშვებ. სხვა დანარჩენს, ოქრუაშვილის მძღოლი იქნება თუ 20 ივნისის მონაწილე, კი ბატონო, იმათ ვუშვებ.

***– თუმცა, მათი გამოშვება პოლიტიკურ კლიმატს ვერ ცვლის.***

– ჩვენთან არა, მაგრამ საერთაშორისო დონეზე რაღაცნაირად ცვლის კლიმატს აშკარად. იმიტომ, რომ როდესაც 20 პოლიტპატიმარი გყავს აღიარებული და იქიდან 17-ს უშვებ და 3-ს იტოვებ, ამას აქვს მნიშვნელობა.

ეს გადმოყრილი პატარ-პატარა ძვლები იქითკენ მიუთითებს, რომ ტემპერატურის დაწევა უნდათ. ყველაზე მეტად ხელისუფლებას არ აწყობს აქციები ქუჩაში. ოპოზიციას კი აქციების რესურსი არ აქვს.

***– ანუ, არც ერთ მხარეს არ აწყობს?***

– ასეა. ყველანაირად ცდილობს ოპოზიცია, ააგოროს ქუჩის აქციები, მაგრამ არ გამოსდის.

***– ახლა ციხიდან მოსულ წერილებსაც იშველიებენ. ვგულისხმობ უგულავას და რურუას წერილებს. რურუას და უგულავას განცხადებებმა გახსნა შესაძლებლობა, რომ მოლაპარაკება შედგესო, განაცხადა დავით ბაქრაძემ. ეს რას ნიშნავს?***

– ეს იცით, რას ნიშნავს? მაპატიეთ, მაგრამ ეს ერთი ადგილის თამაშს ნიშნავს! მე რომ ვყოფილიყავი გაერთიანებული ოპოზიციის ადგილას, ხისტად წავიდოდი ამათ წინააღმდეგ. ამათ განსაკუთრებულად აშინებთ ქუჩის აქციები, ხომ ხედავთ, პარლამენტის წინა მხარე დღემდე გადაკეტილი აქვს ხელისუფლებას. ამათ ყველაზე მეტად არ უნდათ მიტინგები, ზუსტად რაც არ უნდათ, იმას უნდა მისწოლოდა ოპოზიცია, მაგრამ...

***– ანუ რა გამოდის, ოპოზიციაც თამაშობს ხელისუფლების მოედანზე?***

– რა თქმა უნდა. გირჩი „ოცნებისაა“. კუკავაც „ოცნებასთან“ დაიპარება. ბურჯანაძეს მზე და მთვარე ამოსდის იმაზე, როგორმე 2 კაცი შეიყვანოს პარლამენტში და მათ შორის თავისი ბიჭი.

იმ პარტიებს, ვინც პარლამენტში ხვდება, უამრავი დაფინანსება აქვს, ამიტომ ყველას უნდა იქ მოხვედრა.

ეს ნაფტალინი, რომელიც არის დღეს წარმოდგენილი დიდ ოპოზიციურ სპექტრად, აყოვნებს ქვეყანაში განვითარებას. გუშინ რომ პრორუსები იყვნენ და დღეს რომ ევროპელ ელჩებთან ფოტოებს იღებენ, ეს არის მაგალითი იმისა, თუ რა არის ქართული პოლიტიკა. ამათი დაჯერება როგორ შეიძლება?!

***– ლადო, ანუ მაინც იქნება ისეთი შემოთავაზება, სადაც „ოცნება“ იქნება მოგებული?***

– ზუსტად ასე იქნება. რასაც ვერ იყიდი 1 მილიონით, იმას იყიდი 10 მილიონით. ბურჯანაძეს რომ ბიძინამ მიუგზავნოს ბიზნესმენი, რომელიც მიუტანს 5 მილიონს, ბურჯანაძე მეორე დღესვე გახდება გაქანებული ქოცი! ასე იქნებიან სხვებიც. განსაკუთრებით პატარ-პატარა პარტიები.

მარტო ეგენი კი არა, დარწმუნებული ვარ, გიგა ბოკერიაც ეგრე მოიქცევა. იმიტომ, რომ გიგა ბოკერიასთვის და მისი გუნდისთვის მთავარი ამომავალი წერტილი არასდროს ყოფილა ადამიანი. მათი მთავარი მიზანი იყო ფულის კეთება. რა მოხდა 2016 წელს? რატომ გაიყო მაინცდამაინც ნაციონალური მოძრაობა?! იმიტომ, რომ მაშინ ფული აიღო ბოკერიას ფრთამ.

***– დღესაც მიდის ამაზე საუბარი, რომ ივანიშვილი დიდი ფულის დახარჯვას აპირებს ოპოზიციის საყიდლად.***

– რა თქმა უნდა. ამათ ყველას მოისყიდის. ვიმეორებ, რასაც ვერ იყიდი 1 მილიონად, იყიდი 10 მილიონად. ამ კაცს 10 კი არა, უამრავი ფული აქვს. ამ კაციჭამია ვირთხებს ჩაუყრის 5-5 მილიონს და ყველა დაწყნარდება.

***– „ქართული ოცნების“ კულუარებში რა ხდება? გახარიამ კვლავ გაიმყარა პოზიციები?***

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილი გახარიას ამ არჩევნებს არ ჩაატარებინებს. გახარიამ თუ ჩაატარა არჩევნები, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მინიმუმ 2 წლით დარჩება კიდევ ამ პოსტზე, რაც ცვლის ბიძინა ივანიშვილის მიერ შედგენილ პოლიტიკურ წყობას, რომ ყოველ წელიწადნახევარში ერთხელ ცვალოს პრემიერ-მინისტრები. წულუკიანის განცხადებაც გვახსოვს, რომ ის აღარ აპირებს მინისტრობას. ამაზე უკვე ხმამაღლა იყო საუბარი, ეს პროცესი დროებით გაიყინა.

***– კორონავირუსის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე?***

– არამარტო კორონავირუსის გამო. ელოდებიან, როგორ მოგვარდებიან ოპოზიციასთან. ამის მერე უკვე წავა სახელისუფლებო ცვლილებები.

ამ მთავრობით არჩევნებში მიზერული შანსი აქვს „ქართულ ოცნებას“. მდინარაძემ და კობახიძემ დაღუპეს „ქართული ოცნება“! 2014 წლიდან, როგორც კი გაჩნდა პარტიაში კობახიძე და 2016 წლიდან, როდესაც გაჩნდა პარტიაში მდინარაძე, მანდ დაიღუპა „ქართული ოცნება“. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორი ადამიანი მომავალ პარლამენტში აღარ იქნება! თალაკვაძე შესაძლოა დატოვონ რიგით დეპუტატად, მაგრამ ესენი აღარ იქნებიან.

გახარია რაღაცა პერიოდით არის ხელისუფლებაში. ბიძინა ელოდება საბოლოოდ დალაგებას ოპოზიციასთან, შემდეგ გამოაგდებენ ამ სქემებს, როგორ გადანაწილდება და ჩატარდება არჩევნები და შემდეგ გაუშვებს.

***– არჩევნებს ისევ მოიგებს „ქართული ოცნება“?***

– მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასე იქნება. მე არ მინდა ბოკერიების და სააკაშვილების კვლავ მობრუნება ხელისუფლებაში, თუმცა კოლექტიური კობახიძეების და მდინარაძეების ყურებაც მომბეზრდა.

ადეიშვილის შნირი მდინარაძე როდესაც განაგებს მმართველი პარტიის საპარლამენტო ცხოვრებას, ეს არის ძალიან დიდი შეურაცხყოფა მოსახლეობის. იმ მოსახლეობის, რომელიც დაზარალდა ნაციონალური მოძრაობის დროს და მეც ერთ-ერთი ვარ, ვინც დაზარალდა ნაციონალური მოძრაობის დროს.



# „თუ თბილისს მაჟორიტარებს წაართმევენ, ამას მხარს არ დავუჭერ“

## გედი ფოფხაძე: „ოცნებისგან“ თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წევრი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, თუ ხელისუფლება დაარეგისტრირებს საკონსტიტუციო ცვლილებას საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, როგორი იქნება თქვენი ფრაქციის პოზიცია, მხარს დაუჭერთ?***

– ჩვენთვის პროპორცია არ არის განმსაზღვრელი. 110-40-ზე იქნება, 100-50-ზე თუ 120-30-ზე, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენი ფრაქციისთვის ერთ-ერთი პრინციპული საკითხი არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობაა, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ წაუყრუა. არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა არჩევნების ლეგიტიმაციასაც გაზრდიდა, გაყალბების რისკებსაც და ფინანსების ფაქტორსაც შეამცირებდა. ამ ნაწილში ხელისუფლება ჯერ ჩვენს ინიციატივას ანგარიშს არ უწევს.

რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მაჟორიტარული ოლქების განაწილებაა. თუ ხელისუფლება, მაგალითად, 40 მაჟორიტარული მანდატის წინასწარ განაწილებას არ შემოიტანს გეოგრაფიულად, მაშინ ჩვენ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას ხმას ვერ მივცემთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ოლქების ხელოვნურად დაჩეხვა არ მოხდება და ერთი რაიონის მეორეზე მიბმა რაღაც კონიუნქტურიდან გამომდინარე.

ისე არ უნდა მოხდეს, რომ სადაც ხელისუფლებას მეტი მხარდაჭერა აქვს, იქ მეტი მანდატი აღმოჩნდეს და სადაც არ აქვს, ნაკლები. მაგალითად, თბილისში ელექტორატი საპროტესტოდ არის განწყობილი, ამიტომ თბილისში არ უნდა იყოს ცოტა საარჩევნო ოლქი და რეგიონებში, სადაც შეიძლება უფრო დაიყოლიონ ამომრჩეველი, გაცილებით მეტი. ეს იქნება მანიპულაციის საშუალება. ამომრჩევლის ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ამაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ.

***– „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე სახის მოლაპარაკება გქონდათ?***

– არა! ჩვენ, „ქართულ ოცნებასთან“ ცალკე მოსალაპარაკებლად ვერ დავსხდებით. გვაქვს ჩვენი პოზიცია და ეს პოზიცია საჯაროა, ამიტომ ერთი ერთზე მოსალაპარაკებლად „ოცნებასთან“ არ წავალთ.

***– ხელისუფლებას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს, მას სჭირდება არა მხოლოდ თქვენი ხმები, არამედ დანარჩენი ოპოზიციის – „ევროპული საქართველოს“, ნაციონალური მოძრაობის, რომლებიც ამ ცვლილებას ხმას არ მისცემენ. თუ კანონპროექტი ჩავარდება, არსებული მოდელი რჩება?***

– ამ პრინციპით ხელისუფლებას დაშანტაჟების შესაძლებლობას ვერ მივცემთ. პროპორციულ არჩევნებს ჩვენ ხმას ვაძლევდით, ის სპექტაკლი რომ არ გათამაშებულიყო. დადგეს წარმოდგენა, რომ გუნდში ამბოხი იყო. არადა, იმ შემთხვევაში არა თუ გროვდებოდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, არამედ ყველა ოპოზიციური მანდატი უზრუნველყოფილი იყო ამ ცვლილების მხარდასაჭერად. ახლა, იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ხმა სჭირდებათ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის, მე მხარს ვერ დავუჭერ ვარიანტს, რომელიც არ იქნება კომპრომისული.

***– რა იქნება კომპრომისული და რას არ დაუჭერთ მხარს?***

– პირდაპირ გეუბნებით: თუ თბილისს მაჟორიტარებს წაართმევენ და რეგიონებზე გადაანაწილებენ, მე ამას მხარს არ დავუჭერ! ეს არ იქნება სამართლიანი, პირიქით, უსამართლო გადაწყვეტილება იქნება. ეს ვერ იქნება კომპრომისი. მაშინ პირდაპირ ჩაწერონ კონსტიტუციაში, რომ „ქართული ოცნება“ წინასწარ 40 მანდატს იღებს.

***– შეიძლება ეს იყოს ერთგვარი შემოვლითი გზა?***

– დიახ! თუ მოლაპარაკება არ უნდათ, არ იქნება მოლაპარაკება მიღწეული.

***– პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ შეთანხმება ვერ მოხდება. ამ შემთხვევაში თქვენი ფრაქციის პოზიცია როგორი იქნება?***

– ამ შემთხვევაში ჩვენ არსებული სისტემით მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. „ქართული ოცნება“ საერთაშორისო საზოგადოების, ამომრჩევლის თვალში ძალიან ცუდად გამოჩნდება.

არსებული სისტემის პირობებშიც ხელისუფლება არჩევნებს წააგებს. ამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა არ აპირებს „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემას. ეს განწყობები ქუჩაში, ადამიანებთან ურთიერთობების დროს კარგად იგრძნობა. ძალიან ცოტა ადამიანია სოციალურად მოტივირებული, ვისაც უნდა, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩეს. კობახიძის დედას, ალბათ მამასაც უნდა, მოტივირებული არიან, რომ ეს რეალობა დარჩეს, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას არ უნდა!



„ოცნებას“ მოუწევს ხალხისთვის პასუხის გაცემა შეუსრულებელი დაპირებებისთვის, გადაგდებისთვის. მე ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად და გადაგდებულად და ხალხი, მით უფრო!

2020, 7 — 8 მარტი, №56

# ნიკა ჩიტაძე: „თუ „ოცნება“ კომპრომისზე არ წავა, შესაძლოა აშშ-მა ივანიშვილის ანგარიშები დააყადაღოს“

## „110/40-ზე პრაგმატულად ოპოზიციისთვისაც უკეთესია და ხელისუფლებასაც აწყობს, რათა დასავლეთთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს“

იაგო ნაცვლიშვილი

დღეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრების მეხუთე და ბოლო რაუნდი გაიმართება, სადაც უნდა გადაწყდეს, რომელი მხარე რა დათმობებზეა წამსვლელი. ბოლო რაუნდის წინ, ხელისუფლების სიხისტე შერბილდა. ჯერ ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი კობა კოშაძე გაათავისუფლეს საპატიმროდან, ახლა კი უკვე ბესიკ თამლიანიც. თუმცა, კვლავაც პატიმრობაში რჩებიან ირაკლი ოქრუაშვილი, გიგი უგულავა და გიორგი რურუა.



რა მოლოდინია ხვალინდელი შეხვედრისგან და მიაღწევენ თუ არა კომპრომისს მხარეები? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

***— რას ელოდებით დღევანდელი შეხვედრისგან და მოსალოდნელია თუ არა კომპრომისის მიღწევა?***

— მე ასე მგონია, რომ მაინც შესაძლებელია გარკვეული კომპრომისის მიღწევა. როგორც ხელისუფლებას აწყობს, რომ რაღაცაზე შეთანხმდნენ. იმიტომ, რომ ხელისუფლებას უნდა, რათა დასავლეთის წინაშე განაცხადოს, რომ მაქსიმალურად გამოიყენა საკუთარი რესურსი, რათა მიღწეულიყო კომპრომისული ვარიანტი. იმას ვერ იტყვის, რომ მოხდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შეამცირებს 73 მაჟორიტარ ოლქს 40-მდე ან 50-მდე.

***— თუმცა, ოპოზიცია ამბობს, რომ ეს ვარიანტი მისთვის მისაღები არ არის და ამას არ დათანხმდებიან.***

— კი, ოპოზიცია აცხადებს, რომ არ დაეთანხმება, თუმცა ოპოზიციის შემთხვევაშიც ასეა, რომ საბოლოოდ თუ არ დაეთანხმება, მაშინ გამოდის, რომ ძველი სისტემა დარჩება ძალაში და 73 მაჟორიტარი დარჩება, შესაბამისად, მგონია, რომ ოპოზიციას არ უნდა აწყობდეს. არსებულ სისტემას, რა თქმა უნდა, ურჩევნია 110/40-ზე, ან 100/50-ზე.

***— წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით?***

— კი. შედარებით უკეთესი ვარიანტია. ამიტომ რეალობა უნდა გაითვალისწინო. იმიტომ, რომ თუ ოპოზიცია იტყვის, რომ ამაში მონაწილეობას არ მივიღებთო, მაშინ შესაძლოა ძველი სისტემა დატოვონ. მეორე მხრივ, ხელისუფლებასაც არ სურს ძველი სისტემის დატოვება. იმიტომ, რომ მასაც არ სურს, დასავლეთთან ურთიერთობები გაიფუჭოს.

***— ბოლოს კიდევ გაისმა დასავლეთიდან მწვავე კრიტიკა და ამის ეშინია ხელისუფლებას და ანგარიშს უწევს?***

— დიახ, რა თქმა უნდა. ეს არის არსებული რეალობა.

***— ამით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსისგან გვესმის, რომ მათთვის მისაღებია 110/40-ზე? მაგალითად, კახა კუკავამ განაცხადა ეს, ოღონდ ხელისუფლებამ სხვა მექანიზმები არ უნდა ჩართოსო, საუბარია დაუბალანსებელ მაჟორიტარულ ოლქებზე, მათ შორის თბილისში ოლქების შემცირებაზე.***

— ზოგიერთი პარტია, რომლის რეიტინგიც არ არის მაღალი, მათ აწყობთ, რომ იყოს 110/40-ზე, მაგრამ შესაძლოა საუბარი იყოს იმაზე, რომ ბარიერმა დაიწიოს. ეს შესაძლოა ხელისუფლებასაც აწყობდეს იქიდან გამომდინარე, რომ თუ ბარიერი დაიწევს, შევლენ დაბალრეიტინგული პარტიებიც პარლამენტში და ხელისუფლებას ექნება შესაძლებლობა, რომ ამ პარტიებს გაურიგდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების დროს.

***— ოპოზიცია ხელისუფლებაზე ამბობს, რომ ვაჭრობს და რა გამოდის რეალურად? ორივე მხარე ვაჭრობს პოლიტიკურად?***

— იცით რა? ორივე მხარე მაქსიმუმს ითხოვს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ვაჭრობა ცუდად არ უნდა აღვიქვათ. როდესაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის, ან თუნდაც სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებები, ყველა ითხოვს მაქსიმუმს იმისათვის, რომ მიაღწიოს მინიმუმს.

ის, რომ ასეთი დაძაბულობა შეიქმნა და კრიზისი გვაქვს ქვეყანაში, ამაში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას მიუძღვის უდიდესი წვლილი, მხედველობაში მაქვს დაპირების ჩაგდება და პროპორციულ სისტემაზე არგადასვლა. პრინციპში, ეს მე თავიდანვე ვიწინასწარმეტყველე და თქვენთანაც განვაცხადე, რომ შესაძლებელია არ მოხდეს პროპორციულზე გადასვლა და ივანიშვილმა ხელი შეაწმინდოს მაჟორიტარებს-მეთქი.

კი ბატონო, ივანიშვილის განცხადება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ სამართლებრივად ეს რომ მომხდარიყო, საჭირო იყო 2/3-ის მხარდაჭერა. საბოლოოდ ამ დეპუტატებს დაბრალდა, მაგრამ თუ კანონმდებლობის მიხედვით განვიხილავთ, ვერ იტყვი ვერაფერს, რადგან ჰქონდათ უფლება, დაეჭირათ მხარი ან არ დაეჭირათ.

***— ამ ფონზე ახლა რამდენად უნდა ენდოს ოპოზიცია, რომ ისევ არ გადააგდებს მასაც და მთელ მსოფლიოსაც ივანიშვილი?***

— ზუსტად მაგას ვამბობ მეც. საჭიროა კონსტიტუციური ცვლილება, შესაბამისად შესაძლოა პოლიტიკური შეთანხმება მოხდეს ახლა, მაგრამ პარლამენტში ისევ არ დაუჭირონ მხარი. თეორიულად ესეც შესაძლებელია. თუმცა, ივანიშვილის მხრიდან გავლენა მაჟორიტარებზეც და პროპორციული სიით არჩეულ დეპუტატებზეც გასაგები მიზეზების გამო მაღალია, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მე ასე მგონია, რომ ამ ცვლილებას დააჭერინებს მხარს ივანიშვილი. იმისათვის, რომ მან საბოლოოდ არ გაიფუჭოს ურთიერთობა დასავლეთთან, ვინაიდან მისი ანგარიშები დასავლეთის ბანკებშია და მას არ უნდა ამ ხიდის დაწვა.

***— ამით ხომ არ უნდა აიხსნას „ოცნების“ ლიდერების შერბილებული განცხადებები? თავიდან ხისტი პოზიცია ჰქონდათ, ხოლო ბოლო დღეებში შერბილება შეინიშნება. თუნდაც ოქრუაშვილის მეგობარი კოშაძის გამოშვება ან ბესიკ თამლიანის გამოშვებაც ამაზე ხომ არ მეტყველებს?***

— არ არის გამორიცხული. ხელისუფლებას სურს დასავლეთის წინაშე დემოკრატიულად წარმოჩინდეს, რომელიც, ჩაგდებული კანონის მიუხედავად, მაინც აწარმოებს ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს.

კი, ბატონო, უგულავა დაიჭირა, მაგრამ ამავე დროს მიაყოლა ხელისუფლების წარმომადგენლებიც. იგივე ბორჯომის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. ამით ხელისუფლებას იმის ჩვენება უნდა, რომ კანონი ყველას მიმართ თანაბრად მოქმედებს.

***— სხვათა შორის, ხუნდაძემ ეს განცხადება მაშინვე გააკეთა.***

— იმიტომ, რომ ზუსტად მაგაზე იყო „ოცნების“ გათვლა.

***— ადამ კინზინგერმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ თუ ხელისუფლება არ წამოვა კომპრომისზე, მაშინ აამოქმედებს ბევრისთვის მოულოდნელ მექანიზმს. თქვენი ვარაუდით რა იგულისხმა?***

— ჩემი აზრით, ეს სანქციებს უკავშირდება. არსებობს მოლდოვის პრეცედენტი და არ არის გამორიცხული, რომ ივანიშვილის წინააღმდეგაც ამოქმედდეს სანქციები და დააყადაღონ მისი ანგარიშები. თავიდან იქნება რაღაც გაფრთხილება და შემდეგ შესაძლებელია მისი ანგარიშების დაყადაღება მოჰყვეს. პლუს არც ის არის გამორიცხული, რომ სხვა სანქციებიც დაწესდეს, მაგალითად, ქართველ მაღალჩინოსნებს ამერიკაში შესვლა შეეზღუდოს. ესეც ერთ-ერთი ვარიანტია.

გარდა ამისა, შესაძლებელია შემცირდეს საქართველოს მიმართ დახმარება. საქართველომ აშშ-დან სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში 4 მილიარდამდე დახმარება მიიღო. 2020 წელს 133 მილიონის დახმარებაა გათვალისწინებული, თუ სწორად მახსოვს. შესაძლებელია ეს მოცულობა შემცირდეს, ან განაწილებული იყოს სხვა სეგმენტზე.USAID-ის დახმარება განკუთვნილია სახელმწიფო უწყებებზე და გათვალისწინებულია პროექტებზე. შესაძლებელია აშშ-მ შეუზღუდოს მათ დახმარება, მაგრამ გაუზარდოს არასამთავრობო სექტორს, ამით გააძლიეროს მესამე სექტორი, რათა მეტად შეძლონ ხელისუფლების ოპონირება. ასევე შესაძლებელია ქართველი ახალგაზრდების დახმარება გაზარდოს, სტუდენტების და ა.შ.

# „რაც ბჟანიას შეემთხვევა, ყველაფერი რუსეთის ხელით იქნება გაკეთებული“

## მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთისთვის მხოლოდ სამხედრო ბაზაა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი **მამუკა გვაძაბია** პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატის, ასლან ბჟანიას ჯანმრთელობა ისევ საფრთხეშია. რა ხდება?***

— აფხაზეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდ ნაწილს რუსეთი ან არ უნდა, ან არ ენდობა, ან კიდევ ვერ ენდობა.

ე.წ. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ბგანგა ე.წ. რუსეთის ელჩს აფხაზეთში მკაცრი ტონით ელაპარაკა ბჟანიასთან დაკავშირებით. ეს მომგებიანი რომ არ იყოს, მაშინ ისე არ დაელაპარაკებოდა.

***— ბჟანიას მოწამვლას ღიად რუსეთს აბრალებენ?***

— იმის შემდეგ, რაც მოახდინეს ბჟანიას ჰოსპიტალიზაცია სოჭიდან კრასნოდარის საავადმყოფოში, როგორც კი ხელოვნურ კომაში ჩააგდეს და სამკურნალოდ წაიყვანეს, რუსულ მასმედიაში ატყდა აჟიოტაჟი, რომ ბჟანია მოიწამლა. თქვენ იცით, რუსული მასმედია როგორია.

***— დიახ, კრემლის მიერ არის მართული.***

— რუსეთის მასმედიის აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოსაა დაქვემდებარებული. რუსულ მასმედიაში ატყდა მთელი ამბავი, ბჟანია მოიწამლაო. ის ტონი, რაც რუსეთის ოფიციოზმა აირჩია ამ საკითხთან დაკავშირებით, მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისთვის.

***— რატომ?***

— ძალიან მკაფიოდ გამოიკვეთა რუსეთის ხელისუფლებისა და აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდი ნაწილის პოლიტიკურ ინტერესებს შორის შეუსაბამობა.



ადრე აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს სურკოვი (იმ დროს პუტინის თანაშემწე, ნახევრად ჩეჩენი) კურირებდა. როგორც კი სურკოვი აფხაზეთში ჩამოვიდოდა, ყველაფერს ბულდოზერივით გადაუვლიდა, ყველას თავის ადგილზე დააყენებდა. ახლა სურკოვი აღარ არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვას ვერ გამონახავენ, მაგრამ ტაქტიკა შეცვალეს.



***— რუსეთმა ტაქტიკა რატომ შეცვალა?***

— რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა, რადგან ის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, ზოგადად, აფხაზურ-აფსუური საზოგადოებისთვის. თვითმყოფადობის ინსტინქტი, რაც გააჩნია აფხაზურ საზოგადოებას, არ უნდა დავუკარგოთ.

***— საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეს რას ნიშნავს?***

— ქვეყნის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მოხერხებულად უნდა დაამყაროს კონტაქტები აფხაზურ-აფსუურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან. მათთან კავშირების ძებნისას მთავარი უნდა იყოს გზავნილი. ჯერჯერობით, გზავნილი არ ჩანს. საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულება აბურდულ-დაბურდულია დღეს არსებული აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიმართ.

***— რა თვალსაზრისით?***

— იმ თვალსაზრისით, რომ პოზიცია არ აქვთ ჩამოყალიბებული.

***— რასთან დაკავშირებით?***

— ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის აბსოლუტური უმრავლესობა ჩამოყალიბებულია. ამ განუყოფლობის მიღწევის გზებზე კი დიდი ნაწილი შეთანხმებული არ არის, პოზიცია და ხედვა არ გააჩნიათ. ეს არის ძალიან ცუდი.

***— რისი ბრალია, რომ დეოკუპაციის გზებზე ვერ თანხმდებიან?***

— ამას ზოგ შემთხვევაში შეუთანხმებლობას ვაბრალებ, ზოგ შემთხვევაში — უცოდინრობას, ზოგ შემთხვევაშიც ზოგიერთების პირდაპირ ღალატს. რუსეთი ხელისშემშლელი ყოველთვის იქნება.

***— არძინბაც, რომელიც სრულად ემორჩილებოდა რუსეთს, რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. არძინბაც რუსეთის კლინიკაში გარდაიცვალა. ესეც რაღაცის მიმანიშნებელია. არძინბაზეც იყო საუბარი, მოკლესო.***

— არძინბასადმი რუსეთის უნდობლობა არასოდეს მინახავს. უბრალოდ, არძინბა აღარ სჭირდებოდა რუსეთს, რადგან მან თავისი საქმე გააკეთა. ასეთი საქმის გამკეთებელ პიროვნებებს ცენტრი ყოველთვის იშორებს. თავისი საქმე გააკეთებინეს და მოიშორეს.

შემდეგ ისეთი ხალხის მოსვლას შეუწყვეს ხელი, რომელიც მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდა მისგან. მეტ-ნაკლებად ვამბობ, თორემ იქ ყველა თავს იქებს ქართველების მკვლელობებით. აფხაზეთში პრეზიდენტობის კანდიდატია, რომელიც იმით ამაყობს, რომ ბევრი ქართველი ჰყავს მოკლული.

***— ვინ არის?***

— ადგურ არძინბა, რომელიც, ბჟანიასა და შამბასგან განსხვავებით, ამბობს, რომ არავითარი მოლაპარაკებები ქართველებთან არ უნდა იყოს. არაფერს ვამბობ ზურაბ აჩბაზე (რომელიც მოკლეს) და ბაღაფშზე. მათ მიმართ სიმპათიები კი არ მაქვს, უბრალოდ, პარალელებს ვავლებ.

რა არის რუსეთისთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი? სამხედრო ბაზა, მეტი არაფერი. რუსეთისთვის რაიმე ღირებულება რომ წარმოადგენდნენ აფხაზეთის ტერიტორია და იქ მცხოვრები მოსახლეობა, რუსეთს იმის რესურსი გააჩნია, რომ ინვესტიციები განეხორციელებინა და ეს ოკუპირებული ტერიტორია აყვავებულიყო მთელი მსოფლიოს დასანახად, მაგრამ ეს არ უნდათ, აფხაზეთში მათ მხოლოდ სამხედრო ბაზა უნდათ კავკასიაში დამკვიდრებისთვის.

***— ეტყობა, დაჩაჩანაკებული აფხაზური საზოგადოება უნდათ, რომ ვერ შეეწინააღმდეგოს.***

— გასაგებია. მხოლოდ აფხაზური საზოგადოება კი არ უნდა, არამედ კავკასიაში ცალ-ცალკე იყოს დაჩაჩანაკებული საზოგადოებები. რუსეთს კავკასიაში დაჩაჩანაკებულების გაერთიანება კი არ უნდა, უნდა ცალ-ცალკე იყვნენ, რომ ადვილად მოერიოს.

***— ბჟანიასთან დაკავშირებით რას ელოდებით?***

— დარწმუნებული ვარ, რაც ბჟანიას შეემთხვევა, ყველაფერი რუსეთის ხელით იქნება გაკეთებული. აფხაზეთის საარჩევნო კანონში წერია, რომ თუ რომელიმე კანდიდატი ავადმყოფობის გამო არჩევნებს გამოეთიშა, არჩევნები ჩვეულებრივად ტარდება. ვფიქრობ, რუსეთი რადიკალური დაპირისპირების თავიდან აცილების გზით ფონს გასვლას შეეცდება.

ვნახოთ, როგორი სიტუაცია იქნება. მოვუწოდებ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, პოზიციას და ოპოზიციას, გამოფხიზლდნენ. სამწუხაროდ, ბოლო დროს რომელიმე პარტიას სადმე ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები არ უხსენებიათ.

კარგია, რომ დევნილების ბინებით უზრუნველყოფაზე არის ლაპარაკი, მაგრამ მე დევნილი ვარ. ჩემი სახლი არის მამაპაპისეული სახლი აფხაზეთში. თუ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ იქნება, მე ასეთი საქართველო არ მომინდება.

# ნინო ცაციაშვილი: „საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს ის პასუხისმგებლობა, რაც გვაკისრია ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით“

## მოძალადეზე ზედამხედველობა ელექტრონულად განხორციელდება

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, უწყების მიერ ინიცირებული კანონპროექტის – „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესახებ ისაუბრა და საზოგადოებას პრობლემის მიმართ გაერთიანებისკენ მოუწოდა.

– საზოგადოების თითოეულმა წევრმა კარგად უნდა გააცნობიეროს ის პასუხისმგებლობა, რაც გვაკისრია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით, – განაცხადა ნინო ცაციაშვილმა.

საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს მოძალადის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის აღსრულების უზრუნველყოფას ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის გზით, რაც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის განმეორების თავიდან აცილებას და მსხვერპლთა დაცვას.

ცვლილების მიზანია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და მოძალადეზე ზედამხედველობის კიდევ უფრო ქმედითი მექანიზმის შექმნა.

– ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს მკაცრი პოლიტიკის განხორციელებას და იმ შემთხვევაში, როდესაც იარსებებს რეალური საფრთხე ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის განხორციელების, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, ელექტრონული ზედამხედველობა განვახორციელოთ მოძალადეზე, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ მედიასთან საუბრისას.



მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვის ეფექტიანად აღსრულების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს სწორედ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოების მყისიერ ინფორმირებას მსხვერპლთან მიახლოების შემთხვევაში.

კანონპროექტის თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ასევე, ნებისმიერ დროს, შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში და გაგრძელდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, რომელიც არ აღემატება 1 თვეს.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისას გათვალისწინებული იქნება მოძალადის მიერ წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ძალადობის განხორციელებისას ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი და სხვა გარემოებები.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ შედგება ოქმი, რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სასამართლოს.

მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ელექტრონული ზედამხედველობისთვის განზრახ თავის არიდება წარმოადგენს შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

ასევე, საკანონმდებლო პროექტის თანახმად, ფართოვდება ოჯახის წევრის დეფინიცია და ოჯახის წევრის ჩამონათვალს ემატება წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი, რაც ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კუთხით სხვა საკითხების რეგულირებასაც ითვალისწინებს.

დამცავი ორდერი, ნაცვლად 6 თვემდე ვადისა, გამოიცემა 9 თვემდე ვადით. ამასთან, მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში 2018 წლის 1 სექტემბრიდან დაინერგა ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი. მისი ეფექტიანობის გათვალისწინებით, საკანონმდებლო დონეზე გაიწერა შემაკავებელი ორდერისა და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისას რისკების შეფასების კითხვარის გამოყენების ვალდებულება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობას მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმის დანერგვის შესახებ კანონპროექტი განსახილველად 2019 წლის სექტემბერში წარუდგინა. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია არსებობდეს მოძალადეებზე ზედამხედველობის ქმედითი მექანიზმები, რასაც აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა უზრუნველყოფს.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის – UN WOMEN-ის აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ UN WOMEN-მა შეიძინა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა 100 ელექტრონული სამაჯური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

# რას აბრალებს მიხეილ ქარელი ირაკლი ოქრუაშვილს

– მიხეილ ქარელი ამბობს, რომ შემთხვევის ადგილის გაყალბების თაობაზე გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილის მიერ იქნა მიღებული.



ამის შესახებ ჟურნალისტებს ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ განუცხადა.

როგორც კოტრიკაძე განმარტავს, ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე მყოფ პირებს შემთხვევის ადგილის გაყალბების დავალება ირაკლი ოქრუაშვილმა მისცა.

პროკურორის თქმითვე, საქმეში ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვება.

კოტრიკაძის განმარტებით, ბრალდების მხარეს მოპოვებული აქვს როგორც ამ საქმეზე მსჯავრდებული პირების ჩვენებები, ასევე ზარების ნუსხა, რომლის მიხედვითაც, ირაკლი ოქრუაშვილის იმჟამინდელი მობილური ტელეფონიდან შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების მობილურ ტელეფონზე ზარი შევიდა.

– საქმეში მოიპოვება 2004 წლის 24 ნოემბერს, შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების პირდაპირი ჩვენებები, რომლებიც ამ საქმეზე მსჯავრდებულები არიან. ასევე არის ირაკლი ოქრუაშვილის და ამ პირების მობილურ ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარების ნუსხა, დეტალური ინფორმაცია, ანძების და სხვა კომუნიკაციების მითითებით.

ასევე, სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ერთობლიობაში შესაბამის სტანდარტს ქმნიან, რათა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო.

ამ მოწმეებს პროცესზე მოვიყვანთ და ნახავთ, რა ჩვენებებს მისცემენ. ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია კავშირგაბმულობის კომპანიებიდან და მათ შორის, იმ სამსახურებიდან, სადაც მსახურობდა იმ დროს ირაკლი ოქრუაშვილი, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული ნომრით, იმ დროს ირაკლი ოქრუაშვილი სარგებლობდა.

ასევე ვიცით, რომ მეორე ნომრით, რომელზეც ირაკლი ოქრუაშვილმა დარეკა, შემთხვევის ადგილზე მყოფი მსჯავრდებული სარგებლობდა. თუ რა უთხრა ოქრუაშვილმა მათ, კომუნიკაციის მონაწილე მხარეებმა უნდა გვითხრან.

უკვე განაჩენით დადასტურებულია, რომ შემთხვევის ადგილი გაყალბებულია, რომ იქ მყოფებს იარაღი არ ჰქონიათ. ამაზე განაჩენი დგას, ხალხს სასჯელი აქვს მისჯილი. კომუნიკაციის მეორე მხარე ამბობს, რა დავალება მიიღო. შესაბამისად, ეს პირები მოვლენ სასამართლოში, დაიკითხებიან, სხვა მტკიცებულებებს გამოვიკვლევთ და მერე დასკვნები ერთად გავაკეთოთ. მიხეილ ქარელი ამბობს, რომ შემთხვევის ადგილის გაყალბების თაობაზე გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილის მიერ იქნა მიღებული და იქ მყოფ პირებს ეს დავალება მისცა, – განაცხადა კოტრიკაძემ.

ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილი კი ამბობს, რომ პროკურატურას ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ აქვს.

ადვოკატის თქმით, ის სატელეფონო ნომერი, საიდანაც, ბრალდების განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილმა ბუტა რობაქიძის მკვლელობის ადგილზე მყოფ პირებს დაურეკა, ირაკლი ოქრუაშვილს არც ეკუთვნოდა და არც დაურეკავს.

აღნიშნული ნომრიდან შემთხვევის ადგილზე მყოფ პირებთან, ერთის შემთხვევაში, 10-წამიანი, მეორეს შემთხვევაში კი, 39-წამიანი ზარია განხორციელებული.

– ამ საქმეში ბრალდების მხარემ ყველაფერი გადათელა – კონსტიტუცია, დამკვიდრებული პრაქტიკა, ხანდაზმულობის ვადები და ერთადერთი მიზანი აქვთ, ნებისმიერი ფორმით, ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში იყოს, – განაცხადა ადვოკატმა ჭაბაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 8 წლამდე ვადით.

მტკიცებულებების დასაშვებობაზე მსჯელობა 13 მარტს, 10:00 საათზე გაგრძელდება.

# კორონავირუსის გამო ციხეებში პაემნები დროებით შეიზღუდა



სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბრძანება 2020 წლის 5-დან 19 მარტის ჩათვლით პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.

ამასთან, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს შეუჩერდათ დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმე დღეებში გასვლის უფლება.

განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში ახალშემოსული ბრალდებული/მსჯავრდებული განთავსებულნი იქნებიან სხვა ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით.

# ჭიათურაში ცოლის მიმართ ძალადობისთვის შ.ლ.-ს პატიმრობა შეეფარდა



საჩხერის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისივე ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარისთვის ბრალდებულ შ.ლ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 4 მარტს, ქ. ჭიათურაში, შ.ლ.-მ ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკური ძალადობა განახორციელა მეუღლის – მ.რ.-ს მიმართ, ხელი დაარტყა სახისა და თავის არეში და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა შ.ლ. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მალევე დააკავეს.

შ.ლ.-ს ბრალდება წარდგენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126’ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11’-151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# სროლა ნაფარეულის ქუჩაზე



6 მარტს თბილისში, ნაფარეულის 1 ნომერში ადგილობრივებმა გასროლის ხმა გაიგეს, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მიმავალი მანქანიდან უცხო პირებმა ხუთჯერ გაისროლეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ამოღებულია ვაზნები.

შსს-მ გამოძიება 236 მუხლის 3-4 ნაწილით მიმდინარეობას, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# ზურაბ ბუდაღაშვილი, კახაბერ კუპრეიშვილი და ცოტნე სოსელია გამოუშვეს

## 3 წელი პირობით და 2.000 ლარი ჯარიმა



6 მარტს სასამართლომ 20 ივნისის საქმეზე დაკავებულ პირებსა და პროკურატურას შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და ისინი სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

სასამართლომ სამივე პირი დამნაშავედ ცნო.

მოსამართლე მაია კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, კახაბერ კუპრეიშვილს, ცოტნე სოსელიას და ზურაბ ბუდაღაშვილს 3-3 წლით პირობითი მსჯავრი და 2.000-2.000-ლარიანი ჯარიმა განესაზღვრათ.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულებმა ბრალი აღიარეს.

რაც შეეხება კიდევ ერთ დაკავებულს, ბესიკ თამლიანს, ის ბრალს არ აღიარებს. მისი საქმე ცალკე წარმოებად მიმდინარეობს.

20 ივნისის საქმეზე ზურაბ ბუდაღაშვილი, ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი დააკავეს.

დაკავებულ პირებს ბრალად ედებოდათ ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# იდლიბში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ამოქმედდა



ვლადიმერ პუტინისა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის შეხვედრის შემდეგ 6 მარტიდან იდლიბის პროვინციაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ამოქმედდა.

სირიის ადამიანის უფლებების სადამკვირვებლო ჯგუფის ინფორმაციით, ამჟამად რეგიონში ვითარება სტაბილურია და შეთანხმებას ორივე მხარე იცავს. ამასთან, მხარეების შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ იდლიბიდან 6 კილომეტრით ჩრდილოეთით და სამხრეთით უსაფრთხოების კორიდორი მოეწყო, რომელიც ქალაქს ალეპოსთან და ლატაკიასთან აკავშირებს.

შეგახსენებთ, სირიის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტები ერთმანეთს 5 მარტს მოსკოვში შეხვდნენ.

მოლაპარაკებების შემდეგ მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესახებ განაცხადეს.

# ქაბულში მომხდარ თავდასხმას 27 ადამიანი ემსხვერპლა



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში შეიარაღებულ თავდასხმას სულ მცირე 27 ადამიანი ემსხვერპლა და 55 დაიჭრა.

თავდასხმიდან მალე, თალიბანმა გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ის აღნიშნულ მოქმედებებში არ მონაწილეობდა.

მედიის ინფორმაციით, ინციდენტის დროს ადგილზე ავღანეთის ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი აბდულა აბდულა იმყოფებოდა.

– თავდასხმა აფეთქებით დაიწყო, აშკარად რაკეტა ჩამოვარდა. აბდულა აბდულა და ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსი სასწრაფოდ გაიყვანეს ადგილიდან. ისინი კარგად არიან, – აღნიშნა აბდულას პრესსპიკერმა როიტერთან საუბრისას.

# დინამოების ჯახი და იმერული დერბი





საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები 7 და 8 მარტს გაიმართება. რთული სათქმელია, თუ რა კონტურები გამოიკვეთა პირველი ტურის შემდეგ, სადაც რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. წინ მარათონული სეზონია, ყველაფერი თანმიმდევრულად იქნება.

### 7 მარტი

**ჩიხურა-ლოკომოტივი**

**14:00 თბილისი. მიხეილ მესხი**

ორივე გუნდმა განსხვავებული პირველი ტური ჩაატარა – ჩიხურამ საბურთალოსთან დათმო, არადა – იგებდა. ლოკო კი, პირიქით – აგებდა სამტრედიასთან და 3 ქულის აღება მოახერხა. სხვათა შორის, ლოკომოტივმა პირველ ტურში ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად.

**სამტრედია-ტორპედო**

**16:00 სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

იმერული დერბი... ორივე გუნდმა 2-ბურთიანი მარცხით დაიწყო სეზონი. ტორპედოსგან ეს გასაკვირი არ არის, რადგან ცნობილი მიზეზების გამო გუნდი ყველაზე გვიან შეიკრიბა. ქუთაისელებს ამჯერადაც გაუჭირდებათ, რადგან ჯერ შეთამაშება ისევ სჭირდება. ცხადია, სამტრედია შეეცდება ამით ისარგებლოს და პირველი 3 ქულა მოიპოვოს ელიტაში დაბრუნების შემდეგ.

**მერანი-საბურთალო**

**20:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2**

თბილისის მერანმა პირველ ტურში ვიცე-ჩემპიონ ბათუმის დინამოს გაუძლო და აჭარის მთავარი ქალაქიდან ქულა წამოიღო. შენგელიას გუნდი ეცდება მოედანი უქულოდ არც ამჯერად დატოვოს, მაგრამ ეს რთულად შესასრულებელი მისია იქნება, რადგან მეტოქედ საბურთალო ჰყავს. გუნდი, რომელიც წლებია ერთი და იგივე ბირთვით თამაშობს და ყველაზე მეტად არის შეთამაშებული.

### 8 მარტი

**თელავი-დილა**

**15:00 თელავი. ჯავჯავაძის არენა**

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი თელავი საშინაო მატჩებს არა გივი ჩოხელზე, არამედ სარაგბო მოედანზე ჩაატარებს. მაყურებელი გუნდს არც პირველ ლიგაში აკლდა, ახლა უფრო არ მოაკლდება, მით უფრო, რომ კახელებმა მოახერხეს და პირველ ტურში ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის დინამო სტუმრად უგოლო ფრეს ეთამაშნენ.

დილამ კი ჩემპიონატი 3 ქულით დაიწყო – ფსიქოლოგიურად გორელები მზად არიან და შეეცდებიან კარგად დაწყებული თელავშიც გააგრძელონ.

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ)**

**18:00 თბილისი. დინამო არენა**

გასული სეზონის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ერთმანეთს მეორე ტურშივე გადაეყარნენ ერთმანეთს. ამასთან, იდენტური მაჩვენებლით – ორივემ გუნდმა პირველ ტურში 0:0 ითამაშა. ცხადია, მიმდინარე სეზონშიც ორივე გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ამიტომაც ურთიერთშეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ექნება.

ორივე გუნდი დანაკლისით ხვდება მატჩს: თბილისელები ტრავმის გამო ლევან მჭედლიძეს, პერნამბუკუს, თორნიკე კაპანაძესა და ნოდარ ქავთარაძეს მოისაკლისებენ, ხოლო პირველ ტურში მიღებული წითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულია ბაქარ ქარდავა. პირველ ტურში უფრო დიდი დანაკლისი განიცადა ზღვისპირულმა გუნდმა – მენისკის ტრავმა მიიღო ჯოვინო ფლამარიონმა, რომელსაც მინიმუმ 3 თვე გაუცდება, არათითის ამპუტაცია დასჭირდა მამუკა კობახიძეს, ხოლო გუნდის ახალწვეული ბრაზილიელი რეინალდო მანამდე იყო ტრავმირებული.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 2.დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3.საბურთალო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 4.დინამო (ბთ) | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5.თელავი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 6.მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 7.დინამო (თბ) | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 8.ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 9.სამტრედია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 10.ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ფრანგი დეპუტატი კორონავირუსით დაავადდა



საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ელზასელი დეპუტატი, 68 წლის ჟან ლუკ რეიტზერი, კორონავირუსის დიაგნოზით ქალაქ მიულუზის საავადმყოფოში მოათავსეს.

ეს ქალაქი სტრასბურიდან სამხრეთში 100 კმ-ში მდებარეობს.

მის მდგომარეობას ექიმები სერიოზულად აფასებენ. მან ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა ბოლოს 25 თებერვალს მიიღო.

მიულუზის რეგიონი საფრანგეთში კორონავირუსის კერად ითვლება, რადგან კორონავირუსის რამდენიმე ათეული შემთხვევა დაფიქსირდა თებერვალში ამ ქალაქში გამართული ევანგელური შეკრების შემდეგ, სადაც 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი.

საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტ რიშარ ფერანის თქმით, შეტყობინება უკვე გაეგზავნათ იმ დეპუტატებს, რომლებთანაც შესაძლოა ჟან ლუკ რეიტზერს ახლო კონტაქტი ჰქონოდა.

# რუსეთში კორონავირუსის 6 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა



რუსეთში კორონავირუსის კიდევ 6 შემთხვევა დაფიქსირდა. ინფორმაციას კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შტაბში ავრცელებენ.

შტაბის ცნობით, 1 შემთხვევა ნიჟნი ნოვგოროდში, ხოლო 5 მოსკოვში დადასტურდა.

ყველა დაინფიცირებული ქვეყანაში იტალიიდან ჩავიდა. ამ ეტაპზე ისინი ბოქსირებულ პალატებში იმყოფებიან და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ამ დროისთვის, ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში კორონავირუსის 10 შემთხვევა ფიქსირდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# დედამ შვილს მამა ფულისა და ნარკოტიკებისთვის მოაკვლევინა



ამერიკის ფლორიდის შტატის 66 წლის ქალს დაზღვევის ფულის მიღების მიზნით მეუღლის მკვლელობის ორგანიზების ბრალდება წაუყენეს. ამისთვის ქალმა ფული შვილს და მის მეგობარს გადაუხადა, რომლებმაც უფრო ადრე მისი ქალიშვილი მოკლეს.

1994 წლის დეკემბერში 25 წლის ანი მეხის სახლში ჩხრეკა ჩატარდა. პოლიციელებმა ერთი კილოგრამი კოკაინი და 130 ათასი დოლარი იპოვეს, რომელთაც მისი საყვარელი ნარკომოვაჭრე მალავდა. ერთი კვირის შემდეგ ანა მკვდარი იპოვეს. მკვლელებმა მას დანით 23 ჭრილობა მიაყენეს და სახე თეთრი ფხვნილით მოუსვარეს. თავდაპირველად პოლიციელებს ეს ნივთიერება ნარკოტიკი ეგონათ, თუმცა სინამდვილეში ბავშვის კვების პროდუქტი აღმოჩნდა.

მკვლელების მოსაძებნად ანის მამინაცვალმა, 51 წლის ნიკოლას კონორსმა კერძო დეტექტივი დაიქირავა. ექვსი თვის შემდეგ კონორსი საკუთარ სახლში ჩაცხრილეს, სადაც ის მეუღლესთან 40 წლის Dolores მორგანთან ერთად ცხოვრობდა.

26 წლის შემდეგ ხოსე კარერომ, Dolores მორგანის და მისი შვილის ტედ კონორსის ნაცნობმა, ორივე მკვლელობაში მონაწილეობა აღიარა. მისი თქმით 1990-იან წლებში ტედი ნარკოტიკებით ვაჭრობდა. დედამისმა დოლორესმა ამის შესახებ იცოდა. ანა მეხისთან ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ მას შეეშინდა, რომ გოგონა ყველაფერს პოლიციას მოუყვებოდა და ტედს და ხოსეს მისი მოკვლა სთხოვა. საკუთარი ქალიშვილის მოკვლისთვის ის მათ ორი-სამი ათასი დოლარის გადახდას დაპირდა.

ნახევარი წლის შემდეგ დოლორესმა ტედი და ხოსე ნიკოლას კონორსის მოკვლაზე დაიყოლია, რათა მისი დაზღვევის ფული მიეღო და ასევე მის მიერ დაწყებული ანა მეხის მკვლელობის გამოძიება შეეჩერებინა. მეუღლის დაღუპვის შემდეგ დოლორესმა მისი დაზღვევის თანხა 200 ათასი დოლარი მიიღო, შემდეგ კი ტედისა და ხოსესთან ერთად დომინიკანის რესპუბლიკაში გადავიდა საცხოვრებლად.

2020 წელს ტედის ყოფილმა საყვარელმა პოლიციას გადასცა საუბრის ჩანაწერი, რომელიც მან დომინიკანის რესპუბლიკაში ყოფნის დროს მოისმინა.

– ჩვენზე უკვე ორი მკვლელობაა, – ამბობდა ჩანაწერში დოლორესი, – ჩვენ თავს კიდევ ერთი მკვლელობის უფლებას ვერ მივცემთ, არ შეიძლება იმის დაშვება, რომ პოლიციამ ჩვენ ოჯახში კიდევ რაიმეს მიაგნოს.

რამდენიმე თვის შემდეგ დოლორესი და ტედი ფლორიდაში დაბრუნდნენ, იქ ახალი ცხოვრების დასაწყებად. ხოსეს მტკიცებით, დედა-შვილი ისე წავიდა, რომ მისთვის მკვლელობაში მონაწილეობისთვის დაპირებული თანხა არ გადაუხდიათ.

თუ სასამართლო დოლორეს მორგანს და ტედ კონორსს დამნაშავეებად ცნობს, მათ სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ. ხოსე კარეროს შესაძლოა ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობა მიესაჯოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

ჩუღურეთის რაიონის სოციალურ დაუცველთა სასადილოში, მდებარე წინამძღვრიშვილის 107-ში, მომუშავე შესანიშნავ ქალბატონებს

**ახმათს, დარინას, ლიასა და მილანას**

ვულოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

*თამაზ შუბლაძე*

# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● მაქვს „ერექტორები“. ის აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს, არ შეიგრძნობა და უტყუარია კონტაქტების დროს თვით სქესობრივად უძლურებშიც. მის შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასებში. ტელ: 2-99-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# ლევან კობიაშვილი გერმანულ კარიერას იხსენებს



გერმანულმა მედიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან ვიდეოინტერვიუ ჩაწერა. გერმანელი ჟურნალისტი იხსენებს კობის მიერ შალკეში ალბათ ყველა დროის ყველაზე ხმაურიანი გოლის გატანას (იგულისხმება გოლი ბაიერნის კარში). ასევე აჩვენებენ სხვადასხვა ფეხბურთელებთან ფოტოებს, რის შემდეგ დგება ინტერვიუც...

უჩვენებენ და ალაპარაკებენ – კობიაშვილთან ინტერვიუც ალექსანდრე იაშვილთან ერთად გადაღებული ფოტოს კომენტარით იწყება.

**ლევან კობიაშვილი:**

– ქართველების მისვლამ ფრაიბურგში გაამართლა. ჯერ ალექსანდრე იაშვილი მივიდა, მერე – მე. საკმაოდ ნორმალური, კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ. ბოლოს ცქიტიშვილიც დაგვემატა და ფრაიბურგში უკვე ბევრი „ვილი“ ვიყავით, ტობიას ვილის ჩათვლით.

კარგი დრო იყო. ფრაიბურგში პირველად 1998 წელს ჩავედი. იაშვილი ნახევარი წლის მისული იყო. მე გუნდს მეორე წრის დასაწყისისთვის, იანვარში შევუერთდი. ფრაიბურგში ძალიან მაგარი დრო გავატარე. ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, არამედ სხვა ქართველებისთვისაც, რომლებიც მერე შემოგვიერთდნენ, ახალ ქალაქთან და ახალ კლუბთან შეჩვევა უკვე ადვილი იყო, რადგან ერთად ვიყავით. როცა სხვა ქვეყანაში ჩადიხარ, ენა არ იცი, მეგობრები და ნაცნობები არ გყავს, ადვილი არაფერია. ჩვენს შემთხვევაში კი, სხვანაირად იყო. თუმცა, ფრაიბურგიც სხვანაირია, ამ კლუბში ოჯახური გარემოა.

ფრაიბურგში გატარებული პერიოდი ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იაშვილთან ერთად გადაღებული ეს ფოტოც მახსოვს – თუ არ ვცდები, უნტერჰახინგთან მატჩის დროსაა გადაღებული, რომელშიც პენალტი გავიტანე.

***– თქვენ ურჩევდით მწვრთნელს სხვა ქართველების დამატებას, თუ როგორ მოხდა, რომ ფრაიბურგ ში ამდენი ქართველი მიხვედით?***

– არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ მგონია, რომ ზოგადადაც ასეა: როცა ფეხბურთელი სხვა ქვეყნიდან მოდის, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, გუნდის ინტერესიც იზრდება, მაგრამ ფრაიბურგში ეს უფრო ხშირი იყო, რადგან, მაგალითად, ტუნისიდან და მალიდანაც გვყავდა მოთამაშეები. ვფიქრობ, ეს არ იყო ცუდი იდეა, რადგან ყველა ახალგაზრდა მოთამაშეს, ვინც ახალია ქვეყანაში, სჭირდება ვინმე თავისიანი გვერდით, მეგობარი. და თუ ეს კარგი ფეხბურთელიც იქნება, მაშინ ყველა მხარე მოგებულია.

***– მომდევნო ფოტო. ეს იყო მიუნხენის ბაიერნის კარში გატანილი გოლი, რომელიც განსაკუთრებულია შალკეს ისტორიაში. გახსოვს, რა ხდებოდა?***

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მახსოვს. თამაშის წინ ძალიან კრიტიკული სიტუაცია გვქონდა, ჩვენი ფანები გაბრაზებულები იყვნენ. მათი წყენა სამართლიანი იყო, რადგან მანამდე ცუდად ვთამაშობდით და ცუდი შედეგები გვქონდა. მათ გადაწყვიტეს, რომ საწყის წუთებში სტადიონზე სიჩუმე ყოფილიყო. ზუსტად იმ დროს, სანამ მე გავიტანდი, ნელ-ნელა დაიწყეს ტაშის დაკვრა. ხმაური ისე გაძლიერდა, რომ სხვა მატჩზე ასეთი რამ არ მახსენდება. მერე იყო ეს გოლი და დიდი ემოციები. ძალიან მაგარი ამბავი გამოვიდა, რომელიც ყოველთვის მემახსოვრება მეც და შალკეს ფანებსაც. თანაც, გოლიც ძალიან ლამაზი გამოვიდა. მოკლედ, განუმეორებელი ისტორიაა.

***– მომდევნო ფოტო და ისევ შალკე.***

– ეს იყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი მატჩი ბარსელონასთან, რომელიც 0:1 წავაგეთ. მანამდე პორტუს მოვუგეთ და მანუელ ნოიერმა სასწაული თამაში ჩაატარა. სხვათა შორის, საპასუხო მატჩიც 0:1 წავაგეთ „ნოუ კამპზე“. ზოგადად კარგი სეზონი გვქონდა, მაგრამ შეიძლებოდა, უფრო უკეთესიც ყოფილიყო. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიც საკმაოდ რთული იყო და გავედით. მერე კი სულაც მეოთხედფინალში ვითამაშეთ.

***– იყო თუ არა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ბარსელონასთან ყველაზე დიდი თამაში შენს კარიერაში?***

– რთული სათქმელია. წინა სეზონიც კარგი გვქონდა, უეფას თასის ნახევარფინალში გავედით და სევილიასთან დამატებით დროში წავაგეთ. ცხადია, ჩემპიონთა ლიგა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულია.

***– ახლა კი ბოლო ფოტო. შენი კარიერის ბოლო ეტაპი ჰერტაში.***

– ჰო, ეს ჩემი საყვარელი ფოტოა... ეს ის თამაშია, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება. ცხადია, არა პოზიტიური კუთხით. სამწუხაროდ, ასე მოხდა. ახლა არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. ასე მოხდა და ეს უნდა მივიღო.

ამ ამბის შემდეგ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ დავბრუნებულიყავი და კიდევ მეთამაშა. მეც დავბრუნდი, ვითამაშე და ჰერტაც პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ფეხბურთიდან ასე წასვლა არ მინდოდა. იმდენი წელი გავატარე ამ შესანიშნავ ქვეყანაში, შესანიშნავ ბუნდესლიგაში და ჩემი მიზანი იყო, რომ ამ ისტორიას პოზიტიური დასასრული ჰქონოდა.

ის პერიოდი, როცა დისკვალიფიცირებული ვიყავი, ჩემთვის ყველაზე რთული პერიოდი იყო. ყოველი დღე მოტივაცია იყო, რომ მოედანზე ისევ გავსულიყავი. კარგია, რომ ამის შემდეგ კიდევ თითქმის 2 წელი ვითამაშე. თვითონ ეს ისტორია ლამაზი და პოზიტიური არ იყო, მაგრამ მოხდა და უნდა მიმეღო. როგორც ვთქვი, ამის შემდეგ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო დაბრუნება.

ამდენი წლის განმავლობაში ყოველთვის მსიამოვნებდა მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაში, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ პოზიციაზე მათამაშებდნენ – ნახევარდაცვაში, უკან, მარჯვნივ, თუ მარცხნივ. ფეხბურთის თამაშის სურვილი და ფეხბურთთან დაკავშირებული განცდები იყო ჩემთვის ყოველდღიური მოტივაცია და მიზანს მივაღწიე, დავბრუნდი და კიდევ ვითამაშე.

# იტალია კორონავირუსის გამო ისვენებს

**სტატისტიკა, ფსონები**

მომავალ უქმეებზე ევროპა იტალიის ჩემპიონატს მოისაკლისებს. მსოფლიოში გავრცელებული კორონავირუსის გამო სერია ა დროებით შეწყვეტილია. სხვაგან ეროვნული პირველობები ჩვეულებრივ ტარდება, ხოლო ყველაზე საინტერესო მატჩი ინგლისშია, სადაც მანჩესტერული სერბი გაიმართება – იუნაიტედი „ოლდ ტრაფორდზე“ სიტის დაუხვდება. საინტერესო უნდა გამოდგეს უშუალო კონკრეტების თამაში გერმანიასა (გლადბახი-დორტმუნდი) და ესპანეთში (ატლეტიკო-სევილია).

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.03 ლივერპული-ბორნმუთი | 1.25 | 6.00 | 10.75 |
| 07.03 არსენალი-ვესტ ჰემი | 1.55 | 4.30 | 5.50 |
| 07.03 კრ.პალასი-უოტფორდი | 2.55 | 3.15 | 2.95 |
| 07.03 შეფილდი-ნორვიჩი | 1.65 | 3.75 | 5.50 |
| 07.03 ვულვზი-ბრაიტონი | 1.65 | 3.85 | 5.50 |
| 07.03 საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1.65 | 3.95 | 5.25 |
| 07.03 ბარნლი-ტოტენჰემი | 2.60 | 3.25 | 2.80 |
| 08.03 ჩელსი-ევერტონი | 1.80 | 3.80 | 4.20 |
| 08.03 მანჩესტერი-სიტი | 5.00 | 4.25 | 1.60 |
| 09.03 ლესტერი-ასტონ ვილა | 1.40 | 5.00 | 7.75 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 28 | 26 | 1 | 1 | 64-20 | 79 |
| 2.სიტი | 27 | 18 | 3 | 6 | 68-29 | 57 |
| 3.ლესტერი | 27 | 15 | 4 | 8 | 54-28 | 49 |
| 4.ჩელსი | 28 | 13 | 6 | 9 | 47-39 | 45 |
| 5.მანჩესტერი | 28 | 11 | 9 | 8 | 42-30 | 42 |
| 6.ვულვზი | 27 | 10 | 11 | 6 | 41-34 | 41 |
| 7.ტოტენჰემი | 28 | 11 | 7 | 10 | 46-39 | 40 |
| 8.შეფილდი | 27 | 10 | 10 | 7 | 29-25 | 40 |
| 9.ბარნლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33-39 | 38 |
| 10.არსენალი | 27 | 8 | 13 | 6 | 39-36 | 37 |
| 11.ევერტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 37-42 | 37 |
| 12.კრ.პალასი | 28 | 9 | 9 | 10 | 25-32 | 36 |
| 13.საუთჰემპტონი | 28 | 10 | 4 | 14 | 35-51 | 34 |
| 14.ნიუკასლი | 28 | 8 | 8 | 12 | 24-41 | 32 |
| 15.ბრაიტონი | 28 | 6 | 10 | 12 | 32-40 | 28 |
| 16.ბორნმუთი | 28 | 7 | 6 | 15 | 28-45 | 27 |
| 17.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 6 | 15 | 35-49 | 27 |
| 18.უოტფორდი | 28 | 6 | 9 | 13 | 27-43 | 27 |
| 19.ასტონ ვილა | 27 | 7 | 4 | 16 | 34-52 | 25 |
| 20.ნორვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 25-51 | 21 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.03 ვოლფსბურგი-ლაიფციგი | 3.80 | 3.70 | 1.95 |
| 07.03 ფრაიბურგი-უნიონი | 2.35 | 3.40 | 3.05 |
| 07.03 ჰერტა-ვერდერი | 2.15 | 3.50 | 3.35 |
| 07.03 შალკე-ჰოფენჰაიმი | 2.25 | 3.55 | 3.05 |
| 07.03 ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.65 | 4.25 | 4.75 |
| 07.03 გლადბახი-დორტმუნდი | 3.05 | 3.80 | 2.15 |
| 08.03 ბაიერნი-აუგსბურგი | 1.10 | 10.50 | 22.00 |
| 08.03 მაინცი-ფორტუნა | 1.90 | 3.85 | 3.80 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 16 | 4 | 4 | 71-26 | 52 |
| 2.ლაიფციგი | 24 | 14 | 7 | 3 | 62-26 | 49 |
| 3.დორტმუნდი | 24 | 14 | 6 | 4 | 66-32 | 48 |
| 4.გლადბახი | 23 | 14 | 4 | 5 | 46-27 | 46 |
| 5.ლევერკუზენი | 24 | 13 | 5 | 6 | 41-30 | 44 |
| 6.შალკე | 24 | 9 | 9 | 6 | 32-35 | 36 |
| 7.ვოლფსბურგი | 24 | 9 | 8 | 7 | 34-30 | 35 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-42 | 34 |
| 9.ფრაიბურგი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-34 | 33 |
| 10.უნიონი | 24 | 9 | 3 | 12 | 31-38 | 30 |
| 11.კიოლნი | 23 | 9 | 2 | 12 | 36-42 | 29 |
| 12.აინტრახტი | 23 | 8 | 4 | 11 | 37-37 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 36-50 | 27 |
| 14.ჰერტა | 24 | 7 | 6 | 11 | 30-46 | 27 |
| 15.მაინცი | 24 | 8 | 1 | 15 | 33-52 | 25 |
| 16.ფორტუნა | 24 | 4 | 6 | 14 | 24-51 | 21 |
| 17.ვერდერი | 23 | 4 | 5 | 14 | 25-53 | 17 |
| 18.პადერბორნი | 24 | 4 | 4 | 16 | 29-52 | 16 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.03 ეიბარი-მალიორკა | 1.70 | 3.70 | 5.25 |
| 07.03 ატლეტიკო-სევილია | 1.90 | 3.25 | 4.65 |
| 07.03 ბარსელონა-სოსიედადი | 1.40 | 5.25 | 7.25 |
| 07.03 ხეტაფე-სელტა | 1.85 | 3.25 | 5.00 |
| 08.03 ოსასუნა-ესპანიოლი | 2.40 | 3.20 | 3.10 |
| 08.03 ვალიადოლიდი-ბილბაო | 3.05 | 2.80 | 2.75 |
| 08.03 ლევანტე-გრანადა | 2.10 | 3.40 | 3.60 |
| 08.03 ვილიარეალი-ლეგანესი | 1.80 | 3.60 | 4.65 |
| 08.03 ბეტისი-რეალი | 4.20 | 4.00 | 1.80 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 26 | 16 | 8 | 2 | 48-19 | 56 |
| 2.ბარსელონა | 26 | 17 | 4 | 5 | 62-31 | 55 |
| 3.სევილია | 26 | 13 | 7 | 6 | 37-27 | 46 |
| 4.ხეტაფე | 26 | 13 | 6 | 7 | 37-25 | 45 |
| 5.ატლეტიკო | 26 | 11 | 11 | 4 | 29-19 | 44 |
| 6.სოსიედადი | 25 | 13 | 4 | 8 | 43-31 | 43 |
| 7.ვალენსია | 26 | 11 | 8 | 7 | 37-38 | 41 |
| 8.ვილიარეალი | 26 | 11 | 5 | 10 | 43-36 | 38 |
| 9.გრანადა | 26 | 11 | 4 | 11 | 32-31 | 37 |
| 10.ბილბაო | 26 | 8 | 10 | 8 | 25-22 | 34 |
| 11.ლევანტე | 26 | 10 | 2 | 14 | 31-39 | 32 |
| 12.ოსასუნა | 26 | 7 | 10 | 9 | 33-38 | 31 |
| 13.ალავესი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-36 | 31 |
| 14.ბეტისი | 26 | 7 | 9 | 10 | 36-42 | 30 |
| 15.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 11 | 9 | 22-29 | 29 |
| 16.ეიბარი | 25 | 7 | 6 | 12 | 25-37 | 27 |
| 17.სელტა | 26 | 5 | 10 | 11 | 22-34 | 25 |
| 18.მალიორკა | 26 | 6 | 4 | 16 | 26-43 | 22 |
| 19.ლეგანესი | 26 | 4 | 8 | 14 | 19-40 | 20 |
| 20.ესპანიოლი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-45 | 20 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.03 სტრასბური-პსჟ | 4.65 | 3.95 | 1.75 |
| 07.03 ანჟე-ნანტი | 2.40 | 3.05 | 3.30 |
| 07.03 რეიმსი-ბრესტი | 1.85 | 3.40 | 4.75 |
| 07.03 მეცი-ნიმი | 2.40 | 3.05 | 3.25 |
| 07.03 დიჟონი-ტულუზა | 1.90 | 3.55 | 4.20 |
| 07.03 ნიცა-მონაკო | 3.30 | 3.65 | 2.10 |
| 08.03 სტ.ეტიენი-ბორდო | 2.25 | 3.20 | 3.35 |
| 08.03 რენი-მონპელიე | 2.10 | 3.25 | 3.75 |
| 08.03 ლილი-ლიონი | 2.15 | 3.30 | 3.50 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 2 | 3 | 75-24 | 70 |
| 2.მარსელი | 27 | 16 | 7 | 4 | 39-27 | 55 |
| 3.რენი | 27 | 14 | 5 | 8 | 33-24 | 47 |
| 4.ლილი | 27 | 14 | 4 | 9 | 34-27 | 46 |
| 5.ლიონი | 27 | 11 | 7 | 9 | 42-26 | 40 |
| 6.მონპელიე | 27 | 11 | 7 | 9 | 35-29 | 40 |
| 7.მონაკო | 27 | 11 | 7 | 9 | 43-42 | 40 |
| 8.რეიმსი | 27 | 9 | 11 | 7 | 25-21 | 38 |
| 9.ნიცა | 27 | 10 | 8 | 9 | 39-37 | 38 |
| 10.სტრასბური | 27 | 11 | 5 | 11 | 32-32 | 38 |
| 11.ნანტი | 27 | 11 | 4 | 12 | 28-29 | 37 |
| 12.ბორდო | 27 | 9 | 9 | 9 | 39-33 | 36 |
| 13.ბრესტი | 27 | 8 | 10 | 9 | 34-36 | 36 |
| 14.ანჟე | 27 | 10 | 6 | 11 | 26-33 | 36 |
| 15.მეცი | 27 | 7 | 10 | 10 | 25-34 | 31 |
| 16.სტ.ეტიენი | 27 | 8 | 5 | 14 | 28-44 | 29 |
| 17.ნიმი | 27 | 7 | 6 | 14 | 28-42 | 27 |
| 18.დიჟონი | 27 | 6 | 9 | 12 | 24-36 | 26 |
| 19.ამიენი | 27 | 4 | 10 | 13 | 29-48 | 22 |
| 20.ტულუზა | 27 | 3 | 4 | 20 | 21-56 | 13 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## აგრესიული თევზი მყვინთავებს თავს დაესხა

აგრესიული თევზის მყვინთავებზე თავდასხმის შემთხვევა ვიდეოზე გადაიღეს. ამის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გაავრცელა.

სოციალურ ქსელებში ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს გამოჩნდა კადრები, რომლებზეც მყვინთავების ჯგუფი, რომელიც ბალის სანაპიროს მახლობლად იმყოფება, იძულებულია, თავი დაიცვას ცისფერფარფლიანი ბალისტოდისგან. დასაწყისში ის თავს ესხმის ერთ-ერთ მყვინთავს, მაგრამ მყვინთავი მისთვის ხელის კვრასა და მოგერიებას ასწრებს. რამდენიმე წამის შემდეგ აგრესიული თევზი უკვე მეორე მყვინთავს უტევს, შემდეგ კი ოპერატორსაც ესხმის თავს.

მკვლევრების თქმით, ამ სახეობის თევზები, როგორც წესი, მყვინთავებს თავს ისეთ ადგილებში ესხმიან, სადაც ფსკერი ქვიშიანია, ვინაიდან ისინი გამრავლების დროს იქ ბუდეებს აგებენ. ისინი ცდილობენ, იმ ადგილებიდან მყვინთავები გაყარონ და თავიანთი კვერცხები დაიცვან.

მართალია, ამ სახეობის თევზები შხამიანები არ არიან, მაგრამ მათი ბასრი კბილები ადამიანის კანზე დიდ იარებს ტოვებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ინციდენტის შედეგად არც ერთი მყვინთავი არ დაშავებულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## სევდიანი მონატრება



40 დღე გავიდა, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წავიდა ღირსეული ვაჟკაცი, ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი

**დემურ მაღლაკელიძე**

ქუთაისის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; მუშაობდა სოხუმში – ცნობილ ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის ნახევარგამტარების ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში. იგი მეცნიერულ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა სპორტულ საქმიანობას – გახლდათ ნარდში მსოფლიოს ჩემპიონი, მშვენივრად იდგა თხილამურებზე.

თავისი მოღვაწეობის ყველა ადგილზე, დემურმა კოლეგა-მეგობრებს თავი დაგვამახსოვრა როგორც ნიჭიერმა და არაორდინარულმა პიროვნებამ, სიკეთითა და ენერგიით აღსავსემ.

სულ ახლახან, 10 დეკემბერს, აღვნიშნეთ მისი დაბადების საიუბილეო თარიღი – 80 წელი. უაღრესად ბედნიერმა, თანაკლასელების, თანაკურსელებისა და კოლეგა-მეგობრების გარემოცვაში არაჩვეულებრივად მოილხინა. მაგიდასთან მსხდომთ ძმასთან ერთად გვემსახურებოდა, რათა სუფრას სითბო და სიყვარული არ მოკლებოდა. თითოეულს ცალ-ცალკე ეფერებოდა. იხსენებდა მთებში ლაშქრობისას თუ აფხაზეთში ზღვაზე ერთად გატარებულ დღეებს, გუდაურში – ვეტერანთა შეჯიბრებების ამბებს.

სინანულით იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს, თითქოსდა მათთან შესახვედრად ემზადებოდა...

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. ხმის ჩანაწერების საცავი; 4. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 7. „ტურ-დე-ფრანსის“ მრავალგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 9. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 12. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 14. აეროპორტი პეკინში; 15. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 17. მინერალი, მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 20. ჩინური ფინიკი.

**თარაზულად:** 5. სასტუმრო თბილისში; 6. მრავალდღიანი ველორბოლის დასაწყისი; 8. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 10. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 16. დუქნის დახლიდარი; 18. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 19. დადუღებული ყურძნის წვენი; 21. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 22. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. სომხური ანბანის შემქმნელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. როზარიუმი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფლავი.

**თარაზულად**: 1. ჰამბურგერი; 5. პელე; 7. ოფელია; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიკვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. კვარტალი; 22. ფიატი; 23. მასტიფი; 24. ურნალი; 25. ვოლტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხერგიანი; 2. ფუქსი; 3. ყაპუზუნა; 4. რიკოთი; 7. ურალი; 9. კირხე; 12. კრიტერიუმი; 14. ყულევი; 15. ნუსხური; 17. დისპუტი; 22. რვალი.

**თარაზულად**: 5. ცელსიუსი; 6. სტაიერი; 8. დასლერი; 10. კელასური; 11. ბრეცია; 13. კვაზარი; 16. შეწირული; 18. პირეი; 19. ოსერი; 21. ქვევრი; 22. ბრისტოლი; 23. გაუტამა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7748

ევრო — 3.1386

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6067

100 რუსული რუბლი — 4.1748

## ამინდის პროგნოზი 7 მარტისთვის






## 10 მარტიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ეკო ფანგანი: „ყველამ უნდა ავიღოთ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“



ტელეწამყვანი ეკო ფანგანი აცხადებს, რომ ყველამ უნდა ავიღოთ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და შევეცადოთ, ცოტათი მაინც შევამციროთ ვირუსის გავრცელების გზები:

– ყველამ უნდა ავიღოთ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე და შევეცადოთ, ცოტათი მაინც შევამციროთ ვირუსის გავრცელების გზები.

იმის გარდა, რომ ხელები უნდა ვიბანოთ, სხვა ქვეყნებში მოგზაურობისგან თავი შევიკავოთ და იტალიიდან ჩამოსულები იზოლირდნენ ჩამოსვლის პირველივე წუთიდან, აუცილებლად უნდა ვუსმინოთ სარწმუნო და ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებს, დაავადებათა კონტროლისა და სხვა პროფესიონალების ბრიფინგებსა და გადაცემებს ამ თემებზე, რადგან სწორი და ზუსტი ინფორმაციის ცოდნა და გათვალისწინება დაგვეხმარება სიტუაციის დროულად შეფასებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მოვერიდოთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ერთმანეთს ვეკონტაქტოთ ფიზიკური შემხებლობის გარეშე, მაინც სულ გვახსოვდეს ის ადგილები და ადამიანები, სადაც წავალთ და ვისაც დავეკონტაქტებით.

სიმპტომების შემთხვევაში მივმართოთ ექიმს და ჩვენ გარშემო არსებულ ადამიანებს გავაგებინოთ საკუთარი სიმპტომების შესახებ. ზოგიერთი, მგონი მალავს, სასირცხვილო არ არის ეს, პირიქით, შეიძლება, ბევრს დავეხმაროთ. პანიკასა და ისტერიკას არ მივეცეთ, ეს აქვეითებს იმუნიტეტს. ვსვათ ბევრი სითხე, მივიღოთ ბევრი ვიტამინი და ვისუნთქოთ სუფთა ჰაერი. რაც მეტად შევეცდებით ყველა ერთად, მით მეტად შევძლებთ ვირუსის გავრცელების შეკავებას და, მით უმეტეს, ძალიან ადვილად შესასრულებელია ეს ყველაფერი.

სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას იმ ადამიანებზე, ვინც იტალიაში იყო ბოლო 20 დღის განმავლობაში და არც კარანტინში წავიდა და არც თვითიზოლაციაში იყო! ახლა არ დაიწყოთ კიდე მთავრობაო და საზღვრებიო! ადამიანს მხრებზე ის მძიმე თავი იმისთვის აბია, რომ ტვინი ჰქონდეს შიგნით და თუ არ აქვს თვითონ, მაშინ სხვას ჰკითხოს, მოუსმინოს და დაუჯეროს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

სიდედრი სიძეს ურეკავს და ეუბნება:

– გივიკო, სახლში გაზის სუნი მცემს და როგორ მოვიქცე?

– შენ ხომ მორწმუნე ქალი ხარ, ჰოდა, სანთელი დაანთე და ილოცე...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– სათევზაოდ მიდიხარ?

– არა.

– რატომ?

– ჰოროსკოპში წავიკითხე: დღეს თევზებისთვის იღბლიანი დღე იქნებაო.

•••

სეროჟას დატოვებულ ანდერძს კითხულობენ:

– ჩემ ცოლ სუსანას ვუტოვებ 100 ათას დოლარს და სახლს. ჩემ შვილ ლოვიკას ვუტოვებ 200 ათას დოლარს და „დაჩას“. ჩემ ძმა რუბიკას, რომელმაც მთხოვა ანდერძში უეჭველად მომიხსენიეო, ვიხსენიებ: „პრივეტ“ და რუბიკ ჯან!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ვან დეიკი: „ლივერპული ისევ მოგებებს დაიწყებს“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ისევ დაიწყებს მოგებებს და რამდენიმე მატჩის წაგება არაფერს ნიშნავს.

ვან დეიკის აზრით, მცირე ჩავარდნა ყველა გუნდს შეიძლება მოუვიდეს და ეს ნორმალურია: – არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რადგან არ შეგვეძლო, ყველა თამაში მოგვეგო. ეს უბრალოდ არარეალურია და რაც მოხდა, მოსალოდნელი იყო. შევეცდებით შემდეგ მატჩებში ყველას ვანახოთ, რომ კონცენტრაცია არ დაგვიკარგავს და ისევ კარგ ფორმაში ვართ. ლივერპულმა ბოლო 4 მატჩიდან 3 წააგო.

## ედენ აზარი: „ამ სეზონში კიდევ ვითამაშებ“



მადრიდის რეალის ფორვარდმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ მას სჯერა ნაადრევად მინდორზე დაბრუნების, თუმცა ის მკურნალობას სერიოზულად ეკიდება.

აზარის თქმით, მას ძალიან სურს, რომ რეალს დაეხმაროს:

– ჩემთვის რთულია, როდესაც მატჩებს ტელევიზორში ვუყურებ და არ შემიძლია, რომ გუნდს დავეხმარო. მჯერა, რომ წლევანდელ სეზონში თამაშს შევძლებ და რეალს ტიტულების მოგებაში დავეხმარები. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ.

აზარმა ტრავმა 2 კვირის წინ მიიღო და მის დაბრუნებას მაისამდე არ ელოდებიან.

## ნეიმარი: „თავით თამაში არ მიყვარს“



პსჟ-ს ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა აღიარა, რომ მას თავით თამაში არ უყვარს და ცოტათი ეშინია კიდეც, რადგან ასეთ დროს ადვილად შეიძლება ტრავმის მიღება.

ნეიმარის თქმით, ფეხბურთის თამაში ფეხით ჯობია:

– თავს კარგად ვიყენებ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს თავით თამაში, რადგან ამ დროს ტრავმისგან დაზღვეული არ ხარ. თუ საჭიროა, თავით ვთამაშობ, მაგრამ ზოგჯერ ვცდილობ, რომ ეს თავიდან ავიცილო, რადგან ფეხის გამოყენება მირჩევნია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სტეფანე მღებრიშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ



მომღერალ სტეფანე მღებრიშვილს დეზინფორმაციას უვრცელებენ. ინტერნეტში მისი და ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოდესაში გადაღებული ერთობლივი ფოტო გავრცელდა, რასაც მოჰყვა უამრავი ტყუილ-მართალი სტეფანეს სიმდიდრესთან დაკავშირებით. ვითარება იმდენად უკონტროლო გახდა, რომ მომღერალი იძულებული გახდა, საჯარო განცხადება გაეკეთებინა:

– ეს ფოტო არის ბევრი წლის წინ გადაღებული ოდესაში. სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიების“ შემდეგ.

ვის რაში დასჭირდა ახლა ეს ამბავი, არ ვიცი. ბოტები ჩემს ფოტოებს ტვირთავენ და საშინელებებს აკომენტარებენ.

არანაირად არ ვარ მდიდარი და, მით უმეტეს, არავისი ფულით არ ვარ გამდიდრებული.

## საუკუნეების შემდეგ მღვიმეში მონასტერი გამოიკვეთა



საუკუნეების შემდეგ მღვიმეში ულამაზესი მონასტერი გამოიკვეთა.

სარკინეთის მონასტერი შიო მღვიმელის სახელს ატარებს და ძამას ხეობაში მდებარეობს.

გოგა ჩანადირი, ფოტოხელოვანი:

– საუკუნეების შემდეგ, საქართველოში ტაძარი მღვიმეში პირველად გამოიკვეთა.

ეს ძამას ხეობაში მოხდა და ეწოდა სარკინეთის შიო მღვიმელის სახელობის მონასტერი.

გამოკვეთა 2008 წელს დაიწყო და 3 წელი გაგრძელდა.

მოხატვა სულ ახლახან დასრულდა. ვასილ ზანდუკელის ძალიან კარგი მოხატულობაა. დასავლეთის კედელზეა ფრესკა საქართველოს სამოთხე. მსგავსი რამ არც ერთ ტაძარში გვხვდება.

სარკინეთი ყინწვისიდან 5 კილომეტრში მდებარეობს.

მონასტერში 5 წევრია. წინამძღვარია მღვდელმონაზონი ანუბი.

## ასტროპროგნოზი



### 7 მარტისთვის

**ვერძი** – ეს დღე სასიცოცხლო პოტენციალის დაქვეითებით აღინიშნება. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით და იოლად ნურავის მიენდობით. მოტყუების ალბათობა დიდია. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა მატერიალურ დანაკარგებზე მიუთითებს. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **კირჩხიბი** – საკმაოდ პროდუქტიული დღეა. საქმიან ურთიერთობებში დიდ წარმატებას ელოდეთ. **ლომი** – შესაძლოა, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შეგექმნათ. ფინანსური ზარალიც არ უნდა გამორიცხოთ. **ქალწული** – ახალი საქმე დღეს არ დაიწყოთ. ძალისხმევა ამაო იქნება. ხარჯები აკონტროლეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო ენერგია მზარდია. მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. **ღრიანკალი** – რისკი დღეს გაუმართლებელია. სიფრთხილე გამოიჩინეთ. შინაგან ხმას მოუსმინეთ. **მშვილდოსანი** – ნებისყოფა, პრინციპულობა, თავშეკავება დღის დევიზია. ერიდეთ კამათში ჩართვას. **თხის რქა** – მიმნდობლობა, მიამიტობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმეთ. **მერწყული** – საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ნათესავებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. **თევზები** – პოზიტიური, ხალისიანი დღეა. საქმე ძალდაუტანებლად აკეთეთ და სასურველ შედეგს დაელოდეთ.

### 8 მარტისთვის

**ვერძი** – ცრუ ინფორმაცია სამსახურში სიტუაციას დაძაბავს. ვიღაცა ცდილობს, ხაფანგი დაგიგოთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. წარმატება გელით ნებისმიერ საქმეში, ასევე – პირად ცხოვრებაში. **ტყუპები** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. გამოიჩინეთ ინიციატივა და კეთილგონიერება. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. წარმატებას მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **ლომი** – წინდაუხედავი მოქმედებები დაგაზარალებთ. ინტუიციას დღეს ნუ მიენდობით. **ქალწული** – საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. მოთმინება გმართებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობისას. **სასწორი** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ყველაფერში ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ფიზიკური დატვირთვა გეკრძალებათ. ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **მშვილდოსანი** – საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. პლანეტები გირჩევენ, პრიორიტეტები სწორად განსაზღვროთ. **თხის რქა** – სიზმარი წინასწარმეტყველური იქნება. ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** – პოზიტიური დღეა როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **თევზები** – საქმიან პარტნიორებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. ეცადეთ, მცირეოდენი წვრილმანიც კი არ გამოგეპაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## გია ჯაჯანიძე საბავშვო გადაცემაზე მუშაობს



„სხვა რაკურსის“ წამყვანი გია ჯაჯანიძე საბავშვო გადაცემაზე მუშაობს, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავა.

„მე პატარა ქართველი ვარ“ – ასე ეწოდება გადაცემას და ის ჩვენს გარშემო არსებულ ნიჭიერ და განსაკუთრებულ ბავშვებს გაგვაცნობს.

**გია ჯაჯანიძე:**

– ცხოვრება თავად გკარნახობს, რა გზას დავადგეთ.

ბავშვების ჩემდამი დიდმა სიყვარულმა და ჩემმა უსაზღვრო სიყვარულმა ბავშვებისადმი, გადამაწყვეტინა ახალი გადაცემა გავაკეთო. საქართველოს სიცოცხლე, მომავალი, აღმასვლა, სიძლიერე და სულიერი სიმტკიცე, დამოკიდებულია ჩვენს მომავალ თაობაზე.

მე მინდა წარმოვაჩინო ჩვენი მომავალი თაობა.

როცა ისინი გაიზრდებიან, ნახავენ, თუ როგორი იყვნენ პატარები, რა სურვილები ჰქონდათ და რაზე ოცნებობდნენ.

მალე, გადაცემა ,,მე პატარა ქართველი ვარ“.'

,,სხვა რაკურსი“ ჩვეულებრივად, ყოველ ხუთშაბათს, საღამოს 10 საათზე გავა იმედის ეთერში.

## ბაადურ წულაძე 85 წლის გახდებოდა



რეჟისორი და მსახიობი ბაადურ წულაძე 85 წლის გახდებოდა.

ხელოვანი ბათუმში დაიბადა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ ქალაქის მადლიერი იყო. მისი კინოდებიუტი შედგა მიხეილ კობახიძის ცნობილ ფილმში „ქორწილი“ და სწორედ ამ ფილმში ეპიზოდური როლის შესრულების შემდეგ, ბაადურ წულაძის კინოკარიერაც დაიწყო.

ხელოვანმა ქართული კინოს გულშემატკივრებს არაერთი დაუვიწყარი რეჟისორული და მსახიობური ნამუშევარი დაუტოვა.

ბაადურ წულაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე რეჟისორმა ოლგა ჟღენტმა დოკუმენტური ფილმი გადაიღო, სადაც ხელოვანი იგონებს ბავშვობას და მისთვის ყველაზე გამორჩეულ დაბადების დღეს, როცა დედამ ბუკინისტისგან შეძენილი 1912 წელს გამოცემული წიგნი „ნაპოლეონ ბონაპარტე“ აჩუქა.

მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო წიგნი, ამიტომაც სულ მალე გამომცემლობა „ლიბრიკა“ „რუსკი კლუბის“ თანამონაწილეობით გამოსცემს წიგნს, რომელიც ბაადურ წულაძის ხსოვნას მიეძღვნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ვაზის მავნებელი მწერი; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. ალალბედზე მოქმედება; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

**თარაზულად:** 1. კინოცენტრი იტალიაში; 5. საკვების საჭმელი იაპონური ხის ჩხირები; 7. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიგა დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. იაპონური აბანო; 20. ბიბლიის ათი მცნება; 22. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 25. ცხენის ნაშიერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

